ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 17 დეკემბერი, 1949 წ. № 248 (8551). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი (1-ლი გვერდი).
ჩვენი ბედნიერება, ჩვენი სიხარული... (მე-2 გვერდი).
ბერლინს ჩავიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი (მე-2 გვერდი).
საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისათვის დამატებით ლად (მე-2 გვერდი).
ვლადიმერ თორდუა — აქ იზრდებოდა ჩვენი ბედნიერი დღეები (მე-3 გვერდი).
ბულგარელ სახელმწიფო დამნაშავის ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი (მე-4 გვერდი).

## ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უმაგალითო შრომითი აღმავლობით ეგებებიან ძვირფას თარიღს — ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავს. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება.

საწარმოო დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის ბრძოლასთან ერთად, მშრომელთა ფართო მასები უდიდეს მუშაობას ეწევიან მშობლიური ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის, კულტურული მშენებლობისა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში თვალსაჩინოა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ინიციატივა და მაორგანიზებელი როლი.

არ არის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომლის განვითარების საქმეშიც მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდნენ სასოფლო და საქალაქო საბჭოები, მათი დეპუტატები და აქტივი. საბჭოები, როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, პირველ რიგში არიან მოვალენი მთავარი ყურადღება დაუთმონ პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის დავალებათა წარმატებით შესრულებას, რისთვისაც უნდა დარაზმონ მასების შემოქმედებითი ძალები.

მიმდინარე წელი ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა: პირველი—გავაზელთა თაოსნობით სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, რამაც დიდად შეუწყო ხელი არა მარტო სასოფლო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებას, არამედ რესპუბლიკის სოფლებისა და დაბების შემდგომ კეთილმოწყობას, სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის უფრო გაუმჯობესებას; მეორეც — თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს ინიციატივით რესპუბლიკის საქალაქო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით, რომლის მთავარი დევიზი იყო ბრძოლა საქალაქო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლამ დეპუტატთა განსაკუთრებული აქტივობა გამოიწვია. ეს ბუნებრივიც არის. „დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი... საბჭოში, და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზეც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ“ (სტალინი). არჩევნების პერიოდში ამომრჩევლებმა თავიანთ დეპუტატებს სერიოზული განაწესი მისცეს. ამ განაწესის შესრულება ადგილობრივი საბჭოების საბრძოლო ამოცანას შეადგენს. სწორედ ეს მთავარი ამოცანა დაედო საფუძვლად სასოფლო და საქალაქო საბჭოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. ახლა ადგილებზე აჯამებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების წინასწარ შედეგებს. ადგილებიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ ამ მხრივ მოპოვებულია სერიოზული წარმატებანი.

სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორმა — ყვარლის რაიონის გავაზის სასოფლო საბჭომ და მასში შემავალმა კოლმეურნეობებმა მიმდინარე სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. შარშანდელთან შედარებით წელს მათ მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოიწიეს. საშემოდგომო ხვნა-თესვაც მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარეს. სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოები მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ სასოფლო საბჭოს დეპუტატები და აქტივი. სოფელს ახლა აქვს კარგი კლუბი და სამკითხველო, კეთილმოწყობილი გზები და წელს აშენებული საკუთარი ჰიდროელექტროსადგური. ყველა ეს ღონისძიება გავაზელებმა განახორციელეს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულების შედეგად.

შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ნაკლები მუშაობა როდი აქვთ გაწეული რესპუბლიკის დანარჩენ სასოფლო საბჭოებს. ჩვენს პრესაში სისტემატურად ქვეყნდება ცნობები სოფლად კულტურის ახალი კერების მშენებლობის, სასოფლო გზების კეთილმოწყობის, ახალი ჰიდროელექტროსადგურების აგების, წყაროების გამოყვანისა და სხვათა შესახებ. საბჭოთა სოფელი ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებული ახალნაგები სახლებით გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ, სოფელში დამკვიდრდა ბედნიერი და სამური ცხოვრება.

კოლმეურნე გლეხობა მთელ ამ სიკეთეს უმადლის ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, თავის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს.

შესანიშნავ შედეგებს მიაღწია თბილისის ლენინის რაიონულმა საბჭომაც ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. საბჭოს მუდმივი ზრუნვისა და დეპუტატთა აქტიური მოღვაწეობის შედეგად დიდი მუშაობა იქნა გაწეული საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. რაიონულმა საბჭომ მთლიანად აითვისა კაპიტალურ სამუშაოთა შესასრულებლად გეგმით გათვალისწინებული ასიგნობანი 2.851 ათასი მანეთის რაოდენობით. ლენინის რაიონულმა საბჭომ წარმატებით შეასრულა 4 ახალი სატრანსფორმატორო კიოსკის აგებისა და 7,5 კილომეტრი საჰაერო ქსელის გაყვანის ვალდებულება. საცხოვრებელი სახლების კაპიტალურ და მიმდინარე რემონტზე 483.000 მანეთი დახარჯეს, მოასფალტეს და მოკირწყლეს 35.000 კვადრატული მეტრი ქუჩა, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 33.000 მეტრისა და სხვ.

დიდი ბელადის სამშობლო ქალაქ გორის საქალაქო საბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ სერიოზული მუშაობა გასწია ქალაქის კომუნალური მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში დამთავრდა ქალაქის მთავარი ქუჩების მოასფალტება, გაყვანილ იქნა წყალსადენი, აიგო არქიტექტურულად გაფორმებული შენობები, კაპიტალურად შეკეთდა გორის რკინიგზის სადგური, მოეწყო სანაპირო ქუჩა, წესრიგზე იქნა მოყვანილი კანალიზაციის ქსელი, ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის გამწვანებისა და საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაფართოების მხრივაც.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებული წარმატებანი აქვთ მოპოვებული აგრეთვე სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, ფოთის, თელავის, ზუგდიდის, ზესტაფონის და მთელ რიგ სხვა საქალაქო საბჭოებს.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. როგორც ცნობილია, საბჭოებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებად ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერება და საბჭოების საქმიანობაში დეპუტატებისა და აქტივის ფართოდ ჩაბმა იკისრეს. სამწუხაროდ, ამ ვალდებულებას ყველა საბჭო როდი ასრულებს. ბევრგან მუდმივი კომისიების მუშაობა კვლავ ჩამორჩება. ამ კომისიებში სუსტ მონაწილეობას იღებენ არა მარტო აქტივისტები, არამედ მათში ჩაბმული დეპუტატებიც. ყველგან არ ეწყობა დეპუტატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან, არ მოწმდება, თუ როგორ სრულდება ამომრჩეველთა განაწესი.

საქალაქო და სასოფლო საბჭოების ამოცანაა გამოასწორონ აღნიშნული ნაკლოვანებანი, დეპუტატებისა და აქტივის დარაზმვით იბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის, მიაღწიონ სოფლების კეთილმოწყობისა და საქალაქო მეურნეობის განვითარების შემდგომ გაძლიერებას, განუხრელად იზრუნონ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კულტურულ-მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

## აფხაზეთის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 30 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 15 დეკემბრისათვის 100,8 პროცენტით შეასრულეს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 320 მილიონი ცალის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 322.767 ათასი ცალი ნაყოფი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მგელაძე და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დელბა იუწყებიან, რომ აფხაზეთის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 30 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

## ი. ბ. სტალინის 70 წლისთავის შესახვედრად

### რკინიგზელთა საწარმოო საჩუქრები

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა მრავალათასიანმა კოლექტივმა დატვირთვის სახელმწიფო გეგმა 1949 წლისათვის ვადამდე, 20 ნოემბრისათვის შეასრულა. პირველი დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით რკინიგზელებმა დატვირთეს მრავალი ათასი ცისტერნი ნავთპროდუქტები. საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდების, სათბობის ეკონომიისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების ვალდებულებანი.

საბჭოთა ხალხის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად ამიერკავკასიის რკინიგზელები კისრულობენ წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით დატვირთონ ათეულ ათასობით ვაგონი; გადმოტვირთვის წლიური გეგმა შეასრულონ 21 დეკემბრისათვის; დაზოგონ 10.500 ტონა სათბობი, ზეგეგმითი მოგება წინათ ნაკისრი 10 მილიონი მანეთის ნაცვლად გაადიდონ 14 მილიონ მანეთამდე და საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებით წლის ბოლომდე გაათავისუფლონ 2 მილიონი მანეთი.

## გეგმის გადამეტებით

**გურჯაანი.** (საკ. კორ.). გურჯაანის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმა ვადაზე 13 თვით ადრე შეასრულა. მარტო წელს ქარხანამ 407.000 ქილა კონსერვი დაამზადა. ეს რაოდენობა 60.000 ქილით აღემატება წლევანდელ დავალებას. გარდა ამისა, დამზადებულია 12.700 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის ლელვის ჩირი.

დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის — 21 დეკემბრისათვის გურჯაანელი მეკონსერვეები დამატებით გამოუშვებენ 50 ათას ქილა კონსერვს.

## ახმეტის მტს-ის მუშაკთა წარმატება

ახმეტის მტს-ის მუშაკთა კოლექტივი (დირექტორი ამხ. ცქიფურიშვილი, მოადგილე პოლიტნაწილში ამხ. გოგოშიძე) ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავს მნიშვნელოვანი მიღწევით ეგებება. ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა 1949 წლის საგეგმო დავალებანი. გასულ წელთან შედარებით დამუშავებულია 5.000 ჰექტარით მეტი ფართობი, დაზოგილია 2.000 კილოგრამი საწვავი, ყველა ძირითადი სატრაქტორო სამუშაო შესრულებულია საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში.

მუშაობაში განსაკუთრებით ისახელეს თავი დ. შუშუნაშვილის, ალ. გავარდაშვილისა და გ. ნადირაძის სატრაქტორო ბრიგადებმა.

მტს-ის კოლექტივი პირობას იძლევა წელს კიდევ მოხნას 1.000 ჰექტარი და ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულოს ტრაქტორების შემოდგომა-ზამთრის რემონტის გეგმა.

## მეთამბაქოეთა წარმატება

**სიღნაღი.** (საკ. კორ.). დაბა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ფართოდ დანერგეს სოციალისტური შრომის გმირების — ფ. მჭედლიშვილის, გიორგი და ალექსანდრე კუტიბაშვილების გამოცდილება. ამის შედეგად წელს აქ 38 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 18,72 ცენტნერი თამბაქო მოიყვანეს, გეგმა კი 10 ცენტნერს ითვალისწინებდა.

იმ ბრიგადამ, რომელსაც ლენინის ორდენოსანი იოსებ ფხოველიშვილი ხელმძღვანელობს, 19 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებულზე 8,75 ცენტნერით მეტი მოსავალი მოიყვანა. მერგოლეურმა მიხეილ ქოქუაშვილმა 4,75 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 21,89 ცენტნერი თამბაქო მიიღო. ასეთსავე წარმატებას მიაღწია ი. ფხოველიშვილის რგოლმა. კოლმეურნე სირანა ბაგალიშვილმა თამბაქოს მოსავლიანობის გეგმა 234 პროცენტით გაანაღდა. თამბაქოს უხვი მოსავალი მიიღეს აგრეთვე ნადია და გიორგი ბაგალიშვილებმა, პელო მჭედლიშვილმა და მარიამ კუტიბაშვილმა.

კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად 21 დეკემბრისათვის 310 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარონ 470 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თამბაქო.



ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია და ა. ი. მიქოიანი შავი ზღვის ნაპირზე
სტალინური პრემიის ლაურეატის მხატვარ უ. მ. ჯაფარიძის ნახატი. საქდესის ფოტოქრონიკა.

## მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი

16 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი. ბ-ნ მაო ძე-დუნთან ერთად ჩამოვიდნენ პროფესორი ჩენ ბო-და და მისი თანმხლები სხვა პირები.

იაროსლავლის ვაგზალზე ბ-ნ მაო ძე-დუნს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1-ლი შორეულ აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ი. ფ. კურდიუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ვ. ა. ბუშუევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

ბ-ნ მაო ძე-დუნს აგრეთვე შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს წევრები ელჩი ბ-ნ ვან ძიასიანის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი ბ. ლაშტოვიჩკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი დიუ ენ ხა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქ-ნი ს. ბლაგოევა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი ს. ბუგიჩი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი ა. სობეკი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ბ-ნი ნ. იდამჟაბი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ვ. ნატანაილი, პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ი. ზამბროვიჩი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაურის მოვალეობის აღმსრულებელი ბ-ნი მ. ვოლფი.

ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ვ. როშჩინი.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ვაგზალი მორთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ალმებით.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე ბ-ნ მაო ძე-დუნს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ლავრენტიევი, მშრომელთა დეპუტატების ჩიტის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. ფ. უჟოვი, ამიერბაიკალის სამხედრო ოლქის სარდლობის წარმომადგენლები და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ფ. მ. მატვეევი.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ მაო ძე-დუნის სიტყვა

მოსკოვს ჩამოსვლისას ბ-ნმა მაო ძე-დუნმა ვაგზალზე მიკროფონთან შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის — მსოფლიოში პირველი დიდი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში ჩამოსვლის შესაძლებლობა, რაც ამჯერად მომეცა, ფრიად სასიხარულო მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიდ ხალხებს შორის ღრმა და მტკიცე მეგობრობა არსებობს.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ, ხელმძღვანელობდა რა ლენინურ-სტალინური პოლიტიკით, პირველმა გააუქმა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებანი ჩინეთის მიმართ, რომლებიც მეფის რუსეთის დროს არსებობდა.

თითქმის 30 წლის მანძილზე საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა მთავრობას არაერთხელ გაუწევიათ დახმარება ჩინელი ხალხის განთავისუფლების საქმისათვის. საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ ეს ძმური მეგობრობა, რომელიც ჩინელ ხალხს მძიმე განსაცდელის დღეებში გაეწია, არასოდეს არ იქნება დავიწყებული.

ამჟამად უმნიშვნელოვანესი ამოცანებია განმტკიცება მთელ მსოფლიოში მშვიდობის ფრონტისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი უდგას სათავეში, ბრძოლა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცება ორ დიდ სახელმწიფოს—ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და ჩინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განვითარება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეოხებით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ერთობლივი ღონისძიებების მეოხებით, ორი დიდი სახელმწიფოს — ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის საერთო მისწრაფებისა და მჭიდრო თანამშრომლობის მეოხებით, განსაკუთრებით კი გენერალისიმუს სტალინის სწორი საერთაშორისო პოლიტიკის მეოხებით ეს ამოცანები სრულად და საუკეთესო შედეგებით განხორციელდება.

გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და თანამშრომლობას!

## ი. ბ. სტალინმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი

16 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი. (საქდესი).

# ჩვენი ბედნიერება, ჩვენი სიხარული...

**გორი, 16 დეკემბერი. (სპეც. კორ.).** სასიხარულო დღეებს განიცდის ქალაქი გორი. დილაადრიანად, როცა ცას ჯერ კიდევ დილის ბინდი აქვს გადაკრული და გორის ციხის მაღალ ქონგურებს ამომავალი მზის პირველი სხივი არ მოხვედრია, ქალაქის ქუჩებში უკვე მოძრაობაა: ექსკურსანტთა ჯგუფები, რომელთა რიცხვი უფრო და უფრო მატულობს, ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმისაკენ მიემართებიან.

კვლავ მრავალი ექსკურსანტი ჩამოდის უკრაინიდან და ბელორუსიიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, თბილისიდან, ბათუმიდან, ახალციხიდან...

ბელადის სახლის სანახავად მოვიდნენ აზერბაიჯანის სსრ ალსტაფის რაიონის კოლმეურნეები. მათ შორის არიან ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები — სოციალისტური შრომის გმირები: კოლმეურნეობა „ნაპერწკალის“ მერგოლეური ს. ბახჩაგურიანი და სამამულო ომის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ა. ყაზაროვი, რომლებმაც მათთვის მიჩენილი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 160 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს.

მოწინავე ადამიანები ჩამოვიდნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გუდაუთის რაიონიდანაც. აქ არიან თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის სტახანოველი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. საჯაია, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი პ. შაკრილი, ექიმები, ინჟინრები, მუშები, კოლმეურნეები...

ერთნაირი გატაცებითა და სიყვარულით ათვალიერებენ ბელადის სახლს ბათუმის სახელოსნო სასწავლებელთა მოწაფეები, თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის, დონის როსტოვის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშა-მოსამსახურეები, სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის მებაღეობა-მევენახეობის № 10 საბჭოთა მეურნეობის მუშები, გორის რაიონის მეჯვრისხეველი კოლმეურნეები.

ბელორუსიის დედაქალაქ მინსკიდან ჯარისკაცთა და სერჟანტთა ჯგუფი ჩამოიყვანა საბჭოთა კავშირის გმირმა ლეიტენანტმა მ. ეპიშკინმა. ყოველ სერჟანტსა და ჯარისკაცს მკერდს უმშვენებს ორდენები და მედლები.

მოსულთა შორის არიან დიდების ორდენის კავალრებიც. დიდების მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოებული პრაღის განთავისუფლების მონაწილე ა. კროიანი კიროვაკანში დურგლად მუშაობს და გეგმებს 200 პროცენტით ასრულებს. ამავე ორდენის კავალერი, კომკავშირელი კურსანტი ა. ხალმანსკი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია... და კიდევ რამდენი სახელოვანი ადამიანი მოდის აქ, ქართლის ამ სასიქადულო ქალაქში!

ალავერდის რაიონის სოფელ სანაინის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს გორში გამოსაგზავნად შეურჩევიათ ყველაზე მოწინავე ადამიანები. მათ შორის იყო სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცნობილი მწველავი ვ. მუსინიანი.

კომკავშირელი ვლადიკ აგაველიანი, მერვე კლასის ფრიადოსანი მოსწავლე სომხეთის სსრ კაფანის რაიონის მშრომელთა ჯგუფს ჩამოჰყვა. ჩვენ იგი ვნახეთ ბელადის სახლის შესასვლელთან, სადაც დიდხანს იდგა და კომკავშირის ორგანიზაციის დავალებით ბლოკნოტში შეჰქონდა ამ უბრალო სახლის აღწერილობა... კაფანელთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ოთხგზის ორდენოსანი, სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილე ს. სარქისიანი.

შთაბეჭდილებათა წიგნის ფურცლები ისევ და ისევ ივსება გულიდან ამოსული, სიყვარულით გამთბარი სიტყვებით. ქ. ლენინაკანიდან ჩამოსული ხუთასამდე ექსკურსანტის სახელით ამ წიგნში დარჩა საინტერესო ჩანაწერი, რომელსაც 90-ზე მეტმა ექსკურსანტმა მოაწერა ხელი. მათ შორის იყვნენ სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატის სტახანოველი მუშა მ. კარაბაჯიანი, სომხეთის სსრ დამსახურებული მასწავლებელი ა. ოგანესიანი და სხვ.

არ შეიძლება არ აგაღელვოს კაფანის რაიონის სოფელ კატნარატის კოლმეურნეობა „ახალი მზის“ წევრის, 70 წლის ა. გევორქიანის ჩანაწერმა:

„კოლმეურნეობას, სადაც მე ვმუშაობ, „ახალი მზე“ ჰქვია. ეს მზე მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელისათვის დიდი სტალინია. 70 წლისა ვარ, მაგრამ მოხუცებულობას არ ვგრძნობ. წელს 400-ზე მეტი შრომადღე გამოვიმუშავე. ბელადის სახლის ნახვამ ახალი ძალა და სიცოცხლე შემმატა. დიდხანს დღეგრძელობდეს დიდი სტალინი — ჩვენი ბედნიერება, ჩვენი სიხარული...“

# ორ კვირაში 15 ათასზე მეტი მნახველი

ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადების დღეებში განსაკუთრებით ბევრი მნახველი ჰყავს ავლაბრის რესტავრირებულ არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბას. როგორც ცნობილია, ეს სტამბა 1903 წელს მოაწყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი. აქ იბეჭდებოდა რევოლუციური პროკლამაციები, მოწოდებები. აქ დაიბეჭდა არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“.

ახლა აქ ექსკურსანტები მოდიან ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან. ისინი უდიდესი ინტერესით ეცნობიან ამ სტამბას.

შთაბეჭდილების წიგნები სავსეა აღმაფრთოვანებელი ჩანაწერებით. მათში ასახულია ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა გრძნობები, უსაზღვრო სიყვარული კაცობრიობის უდიდესი გენიის დიდი სტალინისადმი.

ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია წერს: „სოციალიზმის დიდი და ბრწყინვალე გამარჯვება წარმოადგენს ბოლშევიკური პარტიის გმირული, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შედეგს. კომუნიზმი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში!“

გულთბილი სტრიქონებით გამოხატა თავისი გრძნობები ესტონეთის დელეგატთა ჯგუფმა: „ჩვენ აღფრთოვანებულნი ვართ იმ გმირული ბრძოლებით, რაც ეწყობოდა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენი რწმენა მომავლისადმი მტკიცდება, როცა ვხედავთ ასეთ დიად საქმეებს, ჩვენს გულში ღრმავდება სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი, მისი უბადლო ხელმძღვანელის ამხანაგ სტალინისადმი“.

1 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე ავლაბრის რესტავრირებული არალეგალური ბოლშევიკური სტამბა ინახულა 15.510 კაცმა, მათ შორის მოსკოვის, უკრაინის, აზერბაიჯანის, დონბასის, როსტოვის, სომხეთის და სხვა რესპუბლიკათა მრავალმა მშრომელმა.

სტალინური კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს სტამბა ინახულა გაზეთ „პრავდის“ რედაქციის მუშაკთა ჯგუფმა. 9 დეკემბერს სტამბას ეწვია საფრანგეთის გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტი.

ყოველდღიურად მოდიან აქ დელეგატები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან. ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებენ ამ ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

# ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან

## „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“

1905 წლის ოქტომბრამდე როგორც რუსეთში, ისე საქართველოში პარტიული პრესა არალეგალური იყო. მხოლოდ ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის შემდეგ, როცა მუშათა კლასმა „მეფეს ხელიდან გამოჰგლიჯა მანიფესტი“ (ლენინი), შეიქმნა ლეგალური გაზეთების გამოცემის შესაძლებლობა.

პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი გამოვიდა პეტერბურგში „ნოვაია ჟიზნის“ სახელწოდებით. ამ გაზეთმა საფუძველი ჩაუყარა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების შექმნასა და განვითარებას სხვა ქალაქებში.


КАВКАЗСКІЙ РАБОЧІЙ ЛИСТОКЪ

Кавказскій Рабочій Листокъ

გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ პირველი ნომერი ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოწინავე სტატიით: „თბილისი, 1905 წლის 20 ნოემბერი“.

1905 წლის 20 ნოემბრიდან ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოვიდა კავკასიის კავშირის კომიტეტის ყოველდღიური ლეგალური ორგანო გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“. გაზეთი გამოდიოდა ქ. თბილისში, იბეჭდებოდა თამამშევის სტამბაში (ყოფილი ველიამინოვის ქუჩა № 7). რედაქცია მოთავსებული იყო ყოფილ რტიშჩევის ქუჩაზე № 15-ში.

გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში“ იბეჭდებოდა ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილი სახელმძღვანელო სტატიები. გაზეთში მონაწილეობდნენ აგრეთვე სტ. შაუმიანი, ის. კორა (ივანე სანჟური), გ. ქიქოძე და სხვები.

თუ რა ამოცანას ისახავდა გაზეთი, ეს ნათქვამია პირველ ნომერში მოთავსებულ შემდეგ განცხადებაში:

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ იქნება რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანო. მუშათა კლასის საჭიროებათა და ინტერესების, მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზნის და უახლოესი ამოცანების გამორკვევა მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისით, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მორიგი ლოზუნგების პოპულარიზაცია მუშათა ფართო მასებში და რევოლუციური ხალხის სხვა ფენებში — აი მოკლედ ჩვენი ახალი ორგანოს მთავარი ამოცანები“.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკს“ მტკიცე კავშირი ჰქონდა ლენინურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნთან“, იგი მთელ რიგ მასალებს ბეჭდავს ამ უკანასკნელიდან, საკითხების გაშუქების დროს ხშირად იყენებს და აცნობს მასებს ლენინის სტატიების ძირითად დებულებებს.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ პირველი ნომრის მოწინავე სტატია ეკუთვნის ი. ბ. სტალინის კალამს. სტატიაში ნათქვამია:

„რუსეთის დიდი რევოლუცია დაიწყო! ჩვენ უკვე განვიცადეთ ამ რევოლუციის პირველი მრისხანე აქტი, რომელიც ფორმალურად 17 ოქტომბრის მანიფესტით დამთავრდა. „წყალობითა ღვთისათა“ თვითმპყრობელმა მეფემ თავისი „გვირგვინოსანი თავი“ დახარა რევოლუციური ხალხის წინაშე და აღუთქვა მას „სამოქალაქო თავისუფლების ურყევი საფუძვლები“...

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი აქტია. ეს მხოლოდ დასასრულის დასაწყისია. ჩვენ დიადი ამბების, რუსეთის დიდი რევოლუციის შესაფერი ამბების წინაშე ვდგევართ. ეს ამბები გვიახლოვდებიან ისტორიის ულმობელი სისასტიკით, რკინისებური აუცილებლობით“ (ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, გვ. 184).

სტატიაში გატარებულია ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა. მასში მხილებულია ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც რევოლუციის აზვირთებული ტალღებით დამფრთხალი, ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ აშკარად დგება რეაქციის მხარეზე.

„ქალაქის რევოლუციური პროლეტარიატი, — წერს ამხანაგი სტალინი, — რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს, და მის შემდეგ რევოლუციური გლეხობა, ლიბერალთა ყოველგვარი ხრიკების მიუხედავად, განუხრელად განაგრძობენ თავიანთ ბრძოლას, ვიდრე არ მიაღწევენ თვითმპყრობელობის სრულ დამხობას და მის ნანგრევებზე თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკას არ შექმნიან.

ასეთია სოციალისტური პროლეტარიატის უახლოესი პოლიტიკური ამოცანა, ასეთია მისი მიზანი ახლანდელ რევოლუციაში, და იგი გლეხობის მხარდაჭერით, რადაც უნდა დაუჯდეს მიაღწევს ამ მიზანს“ (იქვე, გვ. 185).

შემდეგ ამხანაგი სტალინი მიუთითებს იმ გზებსა და საშუალებებზე, რითაც პროლეტარიატმა უნდა მიაღწიოს ამ მიზანს, მოუწოდებს პროლეტარიატს გაბედულად და გადაჭრით ემზადოს რევოლუციური ბრძოლისათვის.

* * *

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ისახავდა მრავალეროვანი ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას. ამ საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ პერიოდში, რადგან ნაციონალური შუღლი და თვითმპყრობელობის მიერ პროვოცირებული სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა ხელს უშლიდა პროლეტარიატის ძალების დარაზმვას გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მეფის აგენტები კავკასიაში დიდ იმედებს ამყარებდნენ სომეხ-თათართა რბევის მოწყობაზე, როგორც რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის ერთ-ერთ საშუალებაზე. შეძლეს რა ნაწილობრივ ამ შეტაკების მოწყობა თბილისში, ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამ ამბებისადმი ყურადღების მიქცევით პროლეტარიატი შეიარაღებული აჯანყების გზას ასცდებოდა.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ სისტემატურად ამხელდა ამ ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორს — მეფის მთავრობას, მიუთითებდა პროლეტარიატს, თუ რა ღონისძიება უნდა მიეღო მსგავსი ამბების განმეორების თავიდან ასაცილებლად; გაზეთი აშუქებდა მშრომელთა საპროტესტო გამოძახილებს ქალაქ თბილისში 22-29 ნოემბერს მოწყობილ სომეხ-თათართა შეტაკების გამო, მოუწოდებდა ყველა ერის პროლეტარებს და რევოლუციურ მასებს მჭიდროდ დარაზმულიყვნენ თვითმპყრობელობის დასამხობად.

* * *

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ გამოსვლა დაიწყო იმ დროს, როცა რუსეთის პროლეტარიატი ბოლშევიკების მეთაურობით ემზადებოდა რევოლუციის გადამწყვეტ ეტაპზე გადასასვლელად, შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კავკასიის კავშირის კომიტეტმა მენშევიკების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის პირობებში, უდიდესი იდეური და პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობა გასწია შეიარაღებული აჯანყებისათვის პროლეტარიატისა და მშრომელი მასების მოსამზადებლად.

1905 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა რსდმპ კავკასიის კავშირის IV კონფერენცია. კონფერენციამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ საშუალებით ამიერკავკასიის ფართო მასები ეცნობოდნენ კონფერენციის რეზოლუციებს, გაზეთში დაბეჭდილი სტატიები გაბედულად მოუწოდებდნენ მასებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ ამავე დროს სისტემატურ დახმარებას უწევდა პროლეტარიატს აჯანყების პრაქტიკულად მოწყობისა და ქუჩაში ბრძოლის ტექნიკის საკითხების გაშუქებით. 6 დეკემბერს გაზეთში დაიბეჭდა სპეციალური სტატია „ბარიკადების შესახებ“, რომელშიც განმარტებულია, თუ რა მიზნით, რა ხერხებით, რა მასალით და რა ფორმით უნდა იქნას აგებული ბარიკადები, რა წინასწარი სამზადისის ჩატარებაა ამისათვის საჭირო და როგორ უნდა მოეწყოს ორგანიზაციულად ეს საქმე.

7 დეკემბერს ქ. მოსკოვში დაიწყო პოლიტიკური გაფიცვა. 9 დეკემბერს მოსკოვის ქუჩებში აღიმართა პირველი ბარიკადები.

გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ მოუწოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატს შეერთებოდნენ დაწყებულ პოლიტიკურ გაფიცვას.

12 დეკემბერს, დილის 8 საათზე, თბილისის პროლეტარიატის მოწინავე რაზმმა — რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშებმა დეპოს საყვირით მთელ ქალაქს ამცნეს გაფიცვის გამოცხადება. გაფიცვა მოედო მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიას. რკინიგზებზე შეწყდა მოძრაობა, თბილისის სადგური და ამიერკავკასიის რკინიგზა გაფიცულებმა დაიკავეს; საგაფიცვო კომიტეტმა ხელში ჩაიგდო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, ტელეგრაფი და სხვა დაწესებულებანი. დაწყებული საყოველთაო გაფიცვა შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ ფურცლებზე ვრცლად შუქდებოდა მოსკოვში დაწყებული შეიარაღებული აჯანყების მსვლელობა, მისი ფართო გამოძახილი რუსეთის სხვადასხვა ადგილას. გაზეთი მოუწოდებდა მშრომელ მასებს შემოკრებილიყვნენ რევოლუციის ავანგარდის — პროლეტარიატის გარშემო.

კავკასიის კავშირის კომიტეტის მებრძოლი ორგანო გაფიცვის პერიოდში ფართოდ ვრცელდებოდა მასებში და რევოლუციურ ცეცხლს ანთებდა. გაფიცვის დაწყებისთანავე მეფის აგენტებმა იერიში მიიტანეს ამ გაზეთზე. როგორც კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიმოწერიდან ჩანს, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ წინააღმდეგ ზომების მისაღებად მრავალჯერ იყო აღძრული საკითხი თბილისის სასამართლო პალატაში. გაზეთის პირველი ნომრის გამოშვებისთანავე იწყება შეშფოთებული მიწერ-მოწერა მეფის მთავრობის ადგილობრივ ორგანოებში.

12 დეკემბერს თბილისის სასამართლო პალატამ გამოიტანა დადგენილება „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ აკრძალვის, რედაქტორ-გამომცემელთა პასუხისგებაში მიცემისა და გაზეთის ნომრებზე ყადაღის დადების შესახებ — არსებული წესწყობილების დასამხობად შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდებისათვის. ამავე დღეს საღამოს 6 საათზე სტამბას გარს შემოერტყა ჯარისკაცთა ასეული სამი ოფიცრით. თბილისის პოლიცმეისტერის თანდასწრებით ჩამორთმეულ იქნა გაზეთის 3 ათასამდე ეგზემპლარი.

კავკასიის კავშირის კომიტეტმა მეორე დღესვე — 13 დეკემბერს გამოუშვა გაზეთის № 16 „ელისავეტპოლსკი ვესტნიკის“ სახელწოდებით. გაზეთი მაშინვე შეუდგა გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყების საკითხების გაშუქებას, მოუწოდებდა პროლეტარიატს და რევოლუციურ მასებს შეუპოვარი ბრძოლისა და გადამწყვეტი მოქმედებისაკენ მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად და დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად. მოწინავე წერილში გაზეთმა ასეთი შეფასება მისცა დაწყებულ საყოველთაო-პოლიტიკურ გაფიცვას:

„არცერთი გაფიცვა არ დაწყებულა ისე ორგანიზებულად, ისე ერთსულოვნად და დიადად, როგორც ახლანდელი გაფიცვა. მუშათა კლასი ამჟღავნებს ღრმად არნახულ სოლიდარობას, ისტორიაში უმაგალითო მზადყოფნას და გადაწყვეტილებას — ბოლომდე წავიდეს თავის გმირულ ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“.

გაზეთ „ელისავეტპოლსკი ვესტნიკის“ გამოცემისთანავე მიღებულ იქნა რეპრესიული ზომები. კავკასიის საცენზურო კომიტეტი სასამართლო პალატის პროკურორისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა:

„...დღეს გამოშვებული „ელისავეტპოლსკი ვესტნიკი“ თავისი ნუმერაციით, სარედაქციო განცხადებით და შინაარსით წარმოადგენს შეჩერებული „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ გაგრძელებას, რომლისგანაც იგი მხოლოდ „ელისავეტპოლსკი ვესტნიკის“ სახელწოდებით განირჩევა“. (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი № 31, საქმე № 335, ფურცელი 10).

ორი ნომრის გამოსვლის შემდეგ კავკასიის საცენზურო კომიტეტმა სასწრაფო განკარგულება გასცა გაზეთის დახურვისა და გამოშვებულ ნომრებზე ყადაღის დადების შესახებ. კონფისკაციის დროს სტამბასა და კანტორაში აღმოჩნდა გაზეთის მხოლოდ 47 ეგზემპლარი, როცა იგი 12 ათასი ცალი დაიბეჭდა და გავრცელდა.

კავკასიის კავშირის კომიტეტი ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამავე დროს ამზადებდა პირობებს ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების გამოსაცემად ამიერკავკასიის ხალხთა სხვა ენებზეც; თბილისში უნდა გამოცემულიყო გაზეთები ქართულ და სომხურ ენებზე, ბაქოში — თათრულ ენაზე. მაგრამ დაწყებული საყოველთაო გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყების გამო სასტიკმა რეპრესიულმა ზომებმა, ცენზურის გაძლიერებამ დეკემბერში შეუძლებელი გახადა ახალი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების გამოცემა.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ საფუძველი ჩაუყარა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების შექმნასა და განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ და მისმა გაგრძელებამ „ელისავეტპოლსკი ვესტნიკმა“, როგორც ბოლშევიკების ძლიერმა იარაღმა, უდიდესი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის მშრომელთა დარაზმვის საქმეში თვითმპყრობელობისა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ს. ბერიძე

# ბერლინს ჩავიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი

**ბერლინი, 14 დეკემბერი. (საკდესი).** დღეს პარიზიდან ბერლინს თვითმფრინავით ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი. შენეფელდის აეროდრომზე ამხანაგ ვიშინსკის შეხვდნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვალტერ ულბრიხტი, ოტო ნუშკე და გერმან კასტნერი, საგარეო საქმეთა მინისტრი გეორგ დერტინგერი, დროებითი სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიკმანი, ბერლინის ობერ-ბურგომისტრი ფრიდრიხ ებერტი, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის ხელმძღვანელი დოქტორი ლეო ცუკერმანი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ანტონ აკერმანი, გერმანიის დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდნენ აგრეთვე: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაური ელჩი გ. მ. პუშკინი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩეხოსლოვაკიის დიპლომატიური მისიის მეთაური ელჩი დოქტორი ფიშელი, პოლონეთის სამხედრო მისიის მეთაური გენერალი პრავინი, უნგრეთის მისიის მეთაური დოქტორი კვეში და უცხოეთის მისიების სხვა წარმომადგენლები. შეხვედრისას აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლები ი. თ. სემიჩასტნოვი, ვ. ს. სემიონოვი, ა. თ. კაბანოვი, ი. ი. ილიჩევი და სხვები.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის შესახვედრად აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო გერმანიის სახალხო პოლიციის საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით.

ა. ი. ვიშინსკიმ და გეორგ დერტინგერმა ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი სიტყვებით.

## გეორგ დერტინგერის სიტყვა

ბ-ნო მინისტრო!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის სახელით გულითადად მოგესალმებით გერმანიის დედაქალაქ ბერლინში. ჩვენთვის დიდი პატივი და სიხარულია, რომ თქვენ უპასუხეთ გერმანიის მთავრობის მოწვევას და ბერლინში რამდენიმე დღეს დარჩებით როგორც რესპუბლიკის სტუმარი.

თქვენ კარგად გიცნობთ გერმანელი ხალხი. გერმანიის დემოკრატიული ძალები გიცნობენ და პატივს გცემენ, როგორც დაუღალავ, უშიშარ მებრძოლს ხანგრძლივი მშვიდობისათვის, დემოკრატიული პროგრესისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის, ერთი სიტყვით: გენერალისიმუს სტალინისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის ძირითადი დებულებებისათვის.

როცა დასავლეთის სახელმწიფოებმა პროვოკაციულად გამოიწვიეს ბერლინის კონფლიქტი, თქვენ ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეთ საერთაშორისო მშვიდობის საქმეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პარიზის სესიაზე წარსულ წელს ამხილეთ ომის გამჩაღებლები და ჩაშალეთ ყველა მათი გეგმა. ასე გახსენით გზა ამ კონფლიქტის გადასაჭრელად და შექმენით შესაძლებლობა ბერლინში ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. ამ ქალაქში თქვენი ყოფნის დროს, უეჭველია, დარწმუნდებით, რომ ბერლინის დემოკრატიული მოსახლეობა სულითა და გულით გიმადლით ამისათვის.

როცა მერმე, დიდი ხნის შეწყვეტის შემდეგ ამა წლის ზაფხულის დამდეგს საგარეო საქმეთა მინისტრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს პარიზში, თქვენ კონსტრუქციულ წინადადებათა გზით ამ კონფერენციის მსვლელობა წარმართეთ მთელი გერმანიის სახელმწიფო საბჭოს შექმნისა და საზავო ხელშეკრულების უსწრაფესად დადებისაკენ.

გერმანელი ხალხი მადლობას გიძღვნით თქვენ, ბ-ნო მინისტრო, იმისათვის, რომ ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის პარიზის კომუნიკეში არაორაზროვნად აღიარებულ იქნა გერმანიის ინიციატივის საჭიროება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენს ამ ინიციატივის ნაწილს. თუ ეს შექმნა შესაძლებელი გახდა, ხოლო ამით შეიქმნა გამოსავალი პუნქტი გერმანიის საკითხის დემოკრატიულად გადაჭრისათვის, ამაში თქვენი პირადი დამსახურებაცაა. გერმანელი ხალხის ყველა ნამდვილი პატრიოტული ძალა ბრძოლას ეწევა ერთიანი დამოუკიდებელი დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის. გენერალისიმუს სტალინის ისტორიულ განცხადებაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის გამო ამ ჩვენმა ბრძოლამ მაღალი შეფასება მიიღო, რაც ძალასა და რწმენას გვმატებს.

თქვენ ეს არის დაბრუნდით ნიუ-იორკიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიიდან. თქვენმა წინადადებებმა საყოველთაო განიარაღების, ატომური იარაღის აკრძალვისა და დიდ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ გერმანიის დემოკრატიულ ძალებში აღფრთოვანებული გამოხმაურება ჰპოვეს. როგორც გერმანიაში, ისე მთელ მსოფლიოში თქვენი თანმიმდევრული პოზიცია ნიუ-იორკის ამ სესიაზე ხელს უწყობდა იმ მშვიდობის ბანაკის გაძლიერებასა და განმტკიცებას, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

ხოლო მშვიდობის საქმე წმიდა საქმეა დემოკრატიული გერმანიისათვის. საბჭოთა კავშირი მუდამ იყო გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი. გერმანიის ინტერესების ამ დაცვასა და წარმომადგენლობაში გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღეთ თქვენ, ბ-ნო მინისტრო. ამიტომ სრული უფლებით გაისმის დღევანდელი დღის ლოზუნგი, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უმაღლესი საფუძველია: სამარადისო მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან!

## ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

ბ-ნო მინისტრო! გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ბ-ნო წევრებო, გერმანელი ხალხის წარმომადგენლებო!

ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ იმ თბილი გრძნობებისათვის, რომლებიც თქვენ გამოთქვით საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა მთავრობის მიმართ, და იმ ყურადღებისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ბერლინს ჩემს ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს ვეწვიო გერმანიის დედაქალაქს, ვინაიდან ვინც და როგორც უნდა უწოდოს სხვა გერმანულ ქალაქებს „დედაქალაქი“, ბერლინი იყო, არის და იქნება გერმანიის დედაქალაქი.

ნება მიბოძეთ, ბ-ნო მინისტრო, თქვენი სახით მივესალმო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბ-ნ პრეზიდენტს, დროებით დემოკრატიულ მთავრობასა და მთელ გერმანელ ხალხს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენს დიდ ისტორიულ მოვლენას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიისა და გერმანელი ხალხის შემდგომი ბედისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი მთავრობის შექმნით საფუძველი ჩაეყარა ერთიან და მშვიდობისმოყვარე გერმანიას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენს იმ პროცესის დამთავრებას, რომელიც ჯერ კიდევ პოტსდამის კონფერენციის დროიდან დაიწყო და რომლის მიზანი იყო მიეცა გერმანელი ხალხისათვის შესაძლებლობა რეკონსტრუქცია განეხორციელებინა დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე. განვლილი წლების მანძილზე ამ მიმართულებით გატარებულ იქნა მრავალი ღონისძიება, რომლებმაც უზრუნველყვეს მთელ რიგ დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელება აღმოსავლეთ გერმანიაში. ეს გარდაქმნები ახალი გერმანიის საფუძველი გახდა. მათ უდიდესი გავლენა მოახდინეს მთელ გერმანელ ხალხზე და შექმნეს საჭირო წანამძღვრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შესაქმნელად.

საბჭოთა კავშირი და საბჭოთა მთავრობა ამ საქმეში სავსებით მხარს გიჭერდათ და გიჭერთ, ახორციელებს რა, როგორც თქვენ სამართლიანად აღნიშნეთ, გერმანელი ხალხის მიმართ, ისე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხების მიმართ, დიად სტალინურ საგარეო პოლიტიკას. თქვენ, ბ-ნო მინისტრო, ხაზგასმით აღნიშნეთ საბჭოთა კავშირის მნიშვნელობა და როლი მშვიდობისათვის ბრძოლაში. მშვიდობისათვის ბრძოლის ეს თანმიმდევრული, მტკიცე და გაბედული ხაზი განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის მთელ საგარეო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა სხვა ხალხებისათვის უზრუნველყოფს იმ ამოცანათა განხორციელებას, რომლებიც აწერია დროშას მთელი პროგრესული კაცობრიობისას, რომელსაც მეთაურობს ჩვენი დიდი მასწავლებელი საბჭოთა მთავრობის მეთაური ი. ბ. სტალინი.

დროებითი სახალხო პალატის მიერ მიღება კანონისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შესვლის შესახებ და გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნა შესაძლებელი გახდა იმ წარმატებათა შედეგად, რომლებიც მოპოვებულია დემოკრატიული გარდაქმნის მიმართულებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე, გერმანიის მთელი დემოკრატიული ძალების წინაშე, რომლებიც იბრძვიან თავისი ქვეყნის ერთიანობისა, მშვიდობისა და საბჭოთა კავშირთან მეგობრობისათვის, დასახულია სერიოზული და პასუხსაგები ამოცანები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბ-ნო წევრებო, გერმანელი ხალხის ბ-ნო წარმომადგენლებო, ნება მიბოძეთ გისურვოთ წარმატება ამ დიდ და პასუხსაგებ მუშაობაში და გამოვთქვა რწმენა, რომ უზრუნველყოფილ იქნება წარმატება თქვენს მუშაობაში გერმანელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური ისტორიული ადგილები

# აქ იჭედებოდა ჩვენი ბედნიერი დღეები

I

მოსკოვში, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პირველ კურსზე სწავლობს ოთარ გრიგოლავა — ცხრამეტი წლის ბათუმელი ჭაბუკი, კადრის ძველი მუშის შვილი. მოსკოვშივე სწავლობს ციმბირელი მონადირის ვაჟი სერგეი პონომარიოვი — ირკუტსკის ოლქის ბალაგანსკის რაიონიდან, საიდანაც არც ისე შორსაა ყოველი ჩვენგანის გულში ღრმად შთაბეჭდილი, უკვე დიდად სახელმოხვეჭილი სოფელი ნოვაია უდა — ამხანაგ სტალინის პირველი გადასახლების ადგილი.

ვრცელი გზა ამ ორი ჭაბუკის ბედნიერებისა ბათუმიდან და ნოვაია უდადან მოსკოვამდე — იკაფებოდა ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილის მიერ; და არა მარტო ამ ორი ჭაბუკის, არამედ მთელი ჩვენი ხალხის, არა მარტო ამ ორი უშორესი პუნქტის, არამედ მთელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს დღევანდელი ბედნიერი, ლაღი, თავისუფალი ცხოვრება იჭედებოდა ჯერ კიდევ იმ ხანებიდან მოყოლებული კაცობრიობის ორი დიდი გენიის—ლენინისა და სტალინის მიერ.

ბათუმელი მუშისა და ციმბირელი მონადირის შვილების, ამჟამად მოსკოველი სტუდენტების დღევანდელი ბედნიერების სათავე იმ სახელოვან რევოლუციურ წარსულშია, რომლისაგან თითქმის ნახევარი საუკუნე გვაშორებს; მათი და მილიონობით მათი მსგავსი უბრალო ადამიანების დღევანდელი ბედნიერების სათავე უთუოდ არის ცხრაასიანი წლების რევოლუციურ ბათუმშიც და სტალინისადმი ლენინის წერილით გაბრწყინებულ ნოვაია უდაშიც.

ბათუმი — ნოვაია უდა — ბათუმი,— ხი მძიმე გზა, რომელიც მშრომელთა კეთილდღეობისათვის გაიარა დიდმა სტალინმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში.

შეუძლებელია აუღელვებლად მიმოავლო თვალი ბათუმს, ფეხი დაადგა მის მიწას,—გრძნობ განსაკუთრებულ სიამაყეს, აუწერელ სიხარულს ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ამ ძვირფასი და საყვარელი ქალაქის ხილვით. და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ შენს წარმოდგენაში კვლავ ახალი ძალით ცოცხლდება დიდი სტალინის სახელოვანი რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდი.

როცა საბჭოთა ადამიანი, ბატონპატრონი საკუთარი თავისა, ამ საზეიმო დღეებში მხნედ, თავისუფლად, წელგამართული დადის განახლებული, ბედნიერი სოციალისტური ქალაქის ქუჩებში,—იგი გულით მადლობას უხდის ცხრაასიანი წლების ბათუმს — კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ახალგაზრდა კობას მიერ რევოლუციის პირველი ცეცხლით გაჩირაღდნებულს.

ჩვენი ბედნიერი დღეები იჭედებოდა ახლანდელ პუშკინის ქუჩაზე № 19-ში მდებარე სახლში, სადაც დიდი სტალინი თბილისიდან ჩამოსვლის დღიდან, 1901 წლის ნოემბრის დამლევიდან 1902 წლის იანვრის ბოლომდე ცხოვრობდა და მუშაობდა. ჩვენი ბედნიერი დღეები იჭედებოდა სილიბისტრო ლომჯარიას პატარა სახლში, (ამჟამად 31 დეკემბრის ქ. № 38), სადაც 1901 წლის 31 დეკემბერს მუშათა კონფერენციაზე ამხანაგმა სტალინმა ჩამოაყალიბა ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტი; პორფირე ქურიძის სახლში (ბარცხანა, ინდუსტრიული ქ. № 25), სადაც ამხანაგი სტალინი მართავდა მუშათა წრეების მეცადინეობას, არალეგალურ კრებებსა და მენშევიკების საწინააღმდეგო სადისკუსიო კრებებს; ჩვენი ბედნიერი დღეები იჭედებოდა, როცა ყოფილ მანთაშევის ქარხანაში (ამჟამად ფრუნზეს ქუჩა) 1902 წლის 31 იანვარს ამხანაგმა სტალინმა მოაწყო ბათუმის საწარმოთა მუშების პირველი სერიოზული პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც მუშათა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა; როცა ყოფილ როტშილდის ქარხანაში (ამჟამად ბერიას ქ. № 79) 1902 წლის 27 თებერვალს 389 მუშის დათხოვნის საპროტესტოდ მოწყობილ იქნა პოლიტიკური გაფიცვა, რომელსაც სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი.

ჩვენი ბედნიერი დღეებისათვის დიდი სტალინის წინამძღოლობით იბრძოდნენ გმირი წინაპრები, რომელთაგან ბევრმა თავი დადო იმ რევოლუციური ქარიშხლის დღეებში. ჩვენ მოწიწებით თავს ვხრით იმ ობელისკთან, რომელიც აღმართულია სოლუკ-სუს ძმათა სასაფლაოზე, სადაც მარხია 1902 წლის 9 მარტს ჯალათ მეფის ჯარის მიერ ყოფილ გადასაგზავნ ყაზარმებთან (პუშკინის ქ. № 43) მუშათა დემონსტრაციის დახვრეტისას დაღუპული 15 მუშა,

კვლავ ინტერესით და მოწიწებით ვავლებთ რა თვალს კაცობრიობის დიდი გენიის რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდს, ჩვენში ახალი ძალით ივიძებს სიყვარული ჩვენი მამისა და მასწავლებლისადმი — დიდი სტალინისადმი.

ბათუმში იგი 1901 წლის ნოემბრის დამლევს ჩამოვიდა თბილისის კომიტეტის დავალებით, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესაქმნელად. ბათუმი იმ დროს მესამე პროლეტარული ცენტრი იყო ბაქოსა და თბილისს შემდეგ. უდიდესი რევოლუციური მუშაობა გაიჩაღა ამხანაგმა სტალინმა ბათუმში: მან კავშირი დაამყარა მოწინავე მუშებთან, შექმნა სოციალ-დემოკრატიული წრეები, პირადად ხელმძღვანელობდა მთელ რიგ წრეებს, მოაწყო არალეგალური სტამბა, რომელშიც ბეჭდავდა პროკლამაციებს და თვითონვე აწყობდა მათი გავრცელების ორგანიზაციას. ბათუმის მუშებმა ამხანაგ სტალინს მუშათა მასწავლებელი უწოდეს. ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა მაშინ როტშილდისა და მანთაშევის ქარხნებში მუშათა ბრძოლას, ხოლო მალე, 1902 წლის 9 მარტს სტალინმა მოაწყო ბათუმის მუშათა პოლიტიკური დემონსტრაცია. ამ ცნობილ დემონსტრაციას იგი ხელმძღვანელობდა და წინ მიუძღოდა. პოლიციის დაგეშილმა მაძებრებმა 1902 წლის 5 აპრილს დააპატიმრეს ამხანაგი სტალინი, მაგრამ მას არც პატიმრობის დროს გაუწყვეტია კავშირი რევოლუციურ მუშაობასთან. პატიმრობაში მყოფი სტალინი დაუსწრებლად აირჩიეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში. ამხანაგი სტალინი თავიდანვე დგება ლენინის, ბოლშევიკების მხარეზე. 1903 წლის შემოდგომაზე სტალინი სამი წლით გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიის ბალაგანსკის მაზრის სოფელ ნოვაია უდაში. აქ მიიღო მან პირველად წერილი ლენინისაგან. გადასახლებიდან გამოქცეული ამხანაგი სტალინი 1904 წლის თებერვალში კავკასიაში ჩამოვიდა, ჯერ ბათუმში იყო, შემდეგ კი თბილისში, სადაც კვლავ დაუღალავად განაგრძობდა უდიდეს რევოლუციურ მუშაობას.

II

მრავალმა ქარიშხალმა გადაიარა მას შემდეგ, მაგრამ რაოდენ საგრძნობი და ხელშესახებია კავშირი იმ მძაფრ დღეებსა და ჩვენს ბედნიერ აწმყოს შორის. მადლიერი ხალხი უხვად იმკის იმ ბრძოლების მონაპოვარს.

მრავალმა ქარიშხალმა გადაიარა მას შემდეგ, მაგრამ შემოქმედი ჩვენი დიდებული აწმყოსი, იმედი უკეთესი მერმისისა,—დგას როგორც ასწლოვანი მუხა, რომელსაც კიდევ უფრო ძლევამოსილად გაუშლია თავისი ნაქარიშხლარი ტოტები.

მრავალმა ქარიშხალმა გადაიარა მას შემდეგ, მაგრამ რაც უფრო მეტი ხანი გვაშორებს იმ სახელოვან რევოლუციურ წარსულს, მით უფრო ტკბილი, ძვირფასი და საყვარელია საბჭოთა ხალხისათვის, ახალგაზრდობისათვის ყოველივე იმის მოგონება, რაც დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას შეეხება.

ბათუმის მშრომელებმა ამიტომაც ასეთი სიყვარულით აღმართეს ქალაქის მიდამოებში მარმარილოს ბრწყინვალე ობელისკები დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებზე და ამ ობელისკთა მოედნები, მისასვლელები ნაირფერი ყვავილებით, გაზონებით, სკვერებით შეამკეს.

უდიდესი სიყვარულითა და ინტერესით ეცნობიან მშრომელები ბათუმის სტალინურ ისტორიულ ადგილებს; კომუნისტებსა და კომკავშირელებს ამ ადგილების გაცნობა, ბათუმის რევოლუციის მუზეუმის დათვალიერება დიდად უწყობს ხელს ბოლშევიზმის დაუფლებაში, ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის, დიდი ლენინისა და დიდი სტალინის ბიოგრაფიების შესწავლაში.



ბათუმში შენდება სახელმწიფო თეატრის ახალი შენობა, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი იქნება მთელს რესპუბლიკაში. სურათზე: მომავალი თეატრის შენობის წინა ფასადი.
ფოტო კ. საბახტარაშვილისა

პროპაგანდისტებისა და წრის ხელმძღვანელების მუშაობის უშრეტ წყაროს წარმოადგენენ რევოლუციის მუზეუმის ძვირფასი ექსპონატები, სტალინური ისტორიული ადგილები.

მუზეუმისა და სტალინური ისტორიული ადგილების დამთვალიერებელთა ინტერესს კიდევ უფრო ზრდის იმ მუშებთან შეხვედრა, რომლებიც როტშილდის, მანთაშევის, სიდერიდისის, რიხნერის ქარხნებში მუშაობდნენ ბათუმში ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდში. ბევრი მათგანი ჯერაც მხნედ გრძნობს თავს და დროსა და ენერგიას არ იშურებს დამთვალიერებელთა ჯგუფებს უამბოს ნახული და განცდილი. ისინი ხალისით გადასცემენ თავიანთ მოგონებებს დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობაზე ბათუმში. ასეთები არიან, მაგალითად, მირიან ხომერიკი, თეოფილე გოგიბერიძე, მაგდანა მგელაძე, კოტე კალანტაროვი და სხვები. და ბათუმში ხომ უწყვეტ ნაკადებად მოედინებიან ექსკურსანტები, დამთვალიერებლები საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან, საზღვარგარეთიდან.

აქ მოვიდნენ ალმა-ატიდან აბაის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, აგრეთვე მოსკოვისა და კიევის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ქ. ნოვოროსიისკის მოსწავლეები, ბათუმის ფანერის ქარხნისა და ფეხსაცმლის ფაბრიკის სტახანოველი მუშები, ლენინგრადის ნევის რაიონის კომკავშირელთა ჯგუფი, რომელთა წინაშე მოგონებით გამოვიდა მანთაშევის ქარხნის ყოფილი მოწინავე მუშა, ამჟამად პერსონალური პენსიონერი კოტე კალანტაროვი. აქ ჩამოვიდნენ სტალინური ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად მუშები, სტუდენტები, მოსამსახურეები ქ. ლვოვიდან, სტავროპოლიდან, სვერდლოვსკიდან, კიროვიდან; აზერბაიჯანიდან ჩამოვიდნენ ლ. ბერიას სახელობის ბაქოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები. მოსკოვის ბაუმანის რაიონის კომკავშირელები და პიონერები, როგორც კი გადაწყვიტეს მოგზაურობა დიდი სტალინის სახელთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების სანახავად, — უწინარეს ყოვლისა გამოემართნენ საქართველოსაკენ, ნახეს გორი, შემდეგ ბათუმს ეწვივნენ.

III

ბევრგან მხოლოდ ობელისკების ან მემორიალური დაფების მეშვეობით თუ შეუძლია ამ ადგილების გამოცნობა მას, ვინც აქ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე არ ყოფილა.

და არა მარტო ცალკეული ადგილები,—გამოიცვალა მთელი ბათუმიც — საბჭოთა შავიზღვისპირეთის ეს მშვენება და სიამაყე.

ვის არ ხიბლავს სუბტროპიკების ეს თვალმარგალიტი, თითქოს ნაირფერი ვარდ-ყვავილების ერთ დიდ თაიგულად შეკრული, ლაღი და ამაყი საბჭოთა აჭარის დედაქალაქი თავისი მოლივლივე შავი ზღვით, ლამაზი მთებით, სუბტროპიკული მცენარეებით. ვის, რომელ სტუმარს დაავიწყდება ახალი ბათუმის სიმშვენიერით მიღებული კმაყოფილება, თუნდაც ერთი დღე რომ დაეყოს ამ ქალაქში ან წელიწადის რომელ დროშიც უნდა სწვეოდეს მას; ზამთარი თუ ზაფხული, შემოდგომა თუ გაზაფხული, — წელიწადის ყველა დრო ბათუმში მომხიბვლელია. აი ახლაც, დეკემბრის ამ დღეებში, როცა ირკუტსკსა და ნარიმის მხარეში, ვინ იცის, ორმოცი გრადუსი ყინვაა, ბათუმში თბილი, მზიანი ამინდებია. ხალხი მსუბუქი ტანსაცმლით დადის. დედები პალმების ხეივანში თეთრად გაქათქათებული პატარა ეტლებით დაასეირნებენ ჩვილ ბავშვებს, სტადიონებსა და მოედნებზე სპორტული კოსტუმებით გამოწყობილი ახალგაზრდები ფრენბურთსა და კალათბურთს თამაშობენ...

ბათუმი!—ძნელია უბრალო სიტყვით აუწერო ადამიანს იგი. პოეტები ღირსეულ ქებას უნდა უმღეროდნენ მას, მხატვრებს ტილოზე ყალმით უნდა გადმოეჰქონდეთ მისი მომჯადოებელი სილამაზე...

მაგრამ მხოლოდ ბუნების უხვი ჯილდოთი როდი გახდარა ბათუმი ესოდენ ყველასათვის საყვარელი და ახლობელი, ესოდენ ლამაზი და მშვენიერი.

ბათუმი ხომ ისევ ამავე მიწაზე იდგა, ხომ იგივე იყო ბათუმის მიწა, ზღვა და ჰავა, მისი ბუნებრივი პირობები ამ ორმოცდაათი წლის წინათ, მაგრამ ქალაქის კეთილმოწყობის ინტერესებისადმი ამ ძვირფასი ბუნებრივი პირობების დამორჩილებისათვის როდი ეცალა გონებაშეზღუდულ მეფის დროინდელ ქალაქის თვითმმართველობას.



ბათუმი, ბერიას ქუჩა.
ფოტო კ. საბახტარაშვილისა

ხოლო როტშილდებს, მანთაშევებსა და რიხნერებს ან კი რაში აინტერესებდათ სხვისი ქალაქის კეთილმოწყობა, როცა თავიანთი ქარხნები მუშებისათვის ჯოჯოხეთად ჰქონდათ გადაქცეული.

სულ სხვაა ახლა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში დადგა ბათუმი სოციალისტური რეკონსტრუქციის გზაზე. ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიერ გამოზრდილი ბოლშევიკები უდგანან სათავეში ბათუმის კეთილმოწყობის საქმეს. ბათუმის ზრდასა და განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს მთავრობა.

ნათელ, მრავალსართულიან, არქიტექტურულად გაფორმებულ ნაგებობათა მრავალ ანსამბლს დაუმშვენებია ქალაქი. ამ უკანასკნელ ხანებში ბათუმის ერთ-ერთი ძვირფასი შენამატია საზაფხულო თეატრი ზღვისპირა პარკში, ოცდასამბინიანი საცხოვრებელი სახლი და სხვ. შენდება სახელმწიფო თეატრის შენობა ქალაქის ცენტრში, რომელიც მომავალ წელს დამთავრდება. იგი ერთ-ერთი ულამაზესი იქნება მთელს რესპუბლიკაში.

ახლა ბათუმში ვერ ნახავთ უქვაფენილო ქუჩებს, ხოლო ქუჩების უდიდესი უმრავლესობა მოასფალტებულია. გრძელდება ზოგიერთი მათგანის გაფართოება, რეკონსტრუქცია. ერთ-ერთი ულამაზესია მთელ საბჭოთა შავიზღვისპირეთში ახლად გაშენებული ზღვისპირა პარკი თავისი საუცხოო კოლონადებით, პალმებით, კვიპაროსებით, მცირე დეკორაციული მცენარეებით. პარკი ღამე გაჩირაღდნებულია მხატვრულად გაფორმებული ელნათურებით. პარკს აქვს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის შემდგომ გამწვანებას, ახალი ნარგავებით მისი ქუჩების, სკვერებისა და ბაღების გამდიდრებას, თუმცა ბათუმი უკვე ახლა მთლად მწვანეში, ძვირფას სუბტროპიკულ მცენარეებშია ჩაფლული.

IV

— ნეტავ ანახა სტალინს ბათუმი, გაიღიმებდა კმაყოფილებითო,—ამბობს ძველი მუშა-რევოლუციონერი, ამჟამად პერსონალური პენსიონერი მირიან ხომერიკი.

მირიანი ისევ მხნედ არის, ყოჩაღად. აი, ასეთ მცხუნვარე მზიან ამინდში, როგორიც დეკემბერმა ზოგჯერ ბათუმში იცის, გამოსულა იგი სახლიდან. მოვიდა უხუცესი მუშა აქ, თავის ქარხანაში, არ მოასვენა შვილმა — წამოდი, მამაჩემო, ჩვენთან, ესაუბრე ქარხნის ახალგაზრდობასო.

მიხეილი, ყოფილი როტშილდის ქარხნის მუშის მირიან ხომერიკის ვაჟი, —ფანერის ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანია. ფანერის ქარხნის ტერიტორიაზე წინათ როტშილდის ქარხანა იყო, სადაც ამ ორმოცდაშვიდი წლის წინათ ახალგაზრდა სტალინი რევოლუციის გარიჟრაჟზე რაზმავდა მუშებს. მეზობელ ტერიტორიაზე რიხნერის ქარხანა იყო. ახლა იქ ფანერის ქარხნის მთავარი საამქროა — სახერხი და საფანერო საამქრო, რომელმაც წლიური გეგმა დიდი ხანია შეასრულა და ახლა ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად იბრძვის გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვებისათვის დიდი სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად.

გონების თვალით იხედები წარსულში, წიგნში წაკითხულ წარსულში და გიხარია, რომ ეს ნახევარი საუკუნე, ერთი შეხედვით, ასე ერთ დღესავით დაიმორჩილა საბჭოთა ხალხმა, რომელსაც წინ მიუძღვის დიდი სტალინი, გიხარია, რომ ის ადამიანები, რომელთაც დიდი სტალინი რევოლუციისათვის რაზმავდა აქ თითქმის ამ ნახევარ საუკუნის წინათ, — კვლავ შემოქმედებითს შრომას ეწევიან, ზრდიან შთამომავლობას, პატრიოტიზმის გრძნობას უნერგავენ ბედნიერ ახალ თაობას.

... მზე დეკემბრისათვის უჩვეულო სიუხვით აფრქვევს თავის ცხოველმყოფელ სხივებს. კრიალებს ასფალტნაგები ბერიას ქუჩა, რომელზედაც ყოფილი როტშილდის ქარხანა მდებარეობს. აქვე ქარხნის წინ, ქუჩის პირას ობელისკია აღმართული. ობელისკის პატარა მოედანზე ყვავილნარის გასამდიდრებლად პიონერი გოგონები გამოსულან, მათს ირგვლივ ობელისკთან სკოლამდელი ბავშვები დაფუსფუსებენ, პაწია ვარდისფერ ხელებს უცაცუნებენ კრიალა მარმარილოს, შესცქერიან ობელისკზე წარწერას, მოჟღურტულე ხმებით მარცვლავენ საყვარელ ანბანს და გახარებულნი, რომ ასე იოლად ამოიკითხეს, — ერთხმად იმეორებენ ძვირფას სახელს — სტალინი!..

ეს ყოფილი როტშილდის, ახლა ფანერის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები არიან. ცხოვრობენ მუშები ახლომახლო, ზოგი ორსართულიან, ნათელმზიან კორპუსებში, ზოგიც საკუთარ საუცხოო სახლებში. დედებს იქვე ახლოს ქარხნის ბაგაში დაჰყავთ ჩვილი ბავშვები, უფრო მოზრდილები კი, აი ისეთები, ობელისკის გარშემო რომ დაფუსფუსებდნენ, — საბავშვო ბაღში. ბაგაში 17 ბავშვია, ბაღში—19. საბავშვო ბაგაში აღმზრდელად არის ახალგაზრდა ქალი, რომელიც დედობრივად ზრუნავს ჩვილ ბავშვებზე, კომუნისტი მარგო ახალაძე—ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი ქარხანაში.

ყოფილი მანთაშევის ნახევრადშინამრეწველური ბიდონის ქარხნის ადგილას ახლა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი მთავარნავთგასაღების საწარმოა, ხოლო მოშორებით — ციტრუსების კომბინატი, რომელიც მურაბებით ამარაგებს ჩვენს ქვეყანას.

სადღაა ძველი ბარცხანა და ჭაობი! — მათგან მხოლოდ სახელწოდება დარჩა. ბარცხანაში აშენებულია საბჭოთა კავშირში პირველი კოფეინის ქარხანა, აქვეა შესანიშნავი ორსართულიანი სასკოლო შენობა. ირგვლივ მიდამო გამწვანებულია ახალდარგული მცენარეებით; სიცოცხლე ჩქეფს ახალ ინდუსტრიულ ბარცხანაში.

ვერც იცნობთ ახლა ძველ, ეგრეთწოდებულ განმანაწილებელ ყაზარმებს, ახლანდელ პუშკინის ქუჩაზე რომ მდებარეობს. ეს ის ადგილია, სადაც 1902 წლის 9 მარტს მეფის ჯარმა ჯალათურად დახვრიტა ბათუმის მუშათა დემონსტრაცია. აქ ახლა მუშათა რამდენიმე კეთილმოწყობილი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია. ტერიტორია ევკალიპტებითა და სხვა სუბტროპიკული მცენარეებითაა შემკული. პუშკინის მოასფალტებულ, განიერ ქუჩაზე განუწყვეტლივ მიმოქრიან ავტომანქანები. აი ერთი მათგანით მივემგზავრებით ბათუმის მეორე, ახალ მუშათა უბანში, სადაც აღმართულია სტალინური ხუთწლედების პირმშო, ინდუსტრიული საქართველოს ერთ-ერთი სიამაყე — სტალინის სახელობის ნავთგადამამუშავებელი ქარხანა. ეს ნამდვილი ახალი ქალაქია, მუშათა ქალაქი, თავისი ნათელი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებით, დაწესებულებებით, გათბობა-განათებით.

ამ დაბაში შესვლისთანავე იგრძნობა მუშებისათვის ზრუნვა.

აქ არის ყველაფერი, რაც მუშებს სჭირდებათ: სასადილო, კლუბი, საბავშვო ბაღი და ბაგა, მექანიკური სამრეცხაო, აბანო, სამკერვალო სახელოსნო, საშუალო და მუსიკალური სკოლები, მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლა, სტახანოვური სკოლები და ოსტატთა მოსამზადებელი კურსები. აქ ახალ ხუთწლედში დღემდე 1.331 სხვადასხვა პროფესიის მუშა მომზადდა.



ობელისკი ყოფ. მანთაშევის ქარხნის ტერიტორიაზე. აქ 1902 წლის 31 იანვარს ამხანაგმა სტალინმა მოაწყო მუშათა პირველი დიდი გაფიცვა, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.
ფოტო რ. აკოფოვისა

მუშებისათვის ასეთმა ზრუნვამ აამაღლა შრომის ნაყოფიერება. დღემდე ქარხანაში ხუთწლიანი გეგმა 173 კაცმა შეასრულა. მაღალია ამ ქარხნის მუშების ტექნიკური მომზადების დონე. რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებების გამოყენებითა და მათი დანერგვით ქარხანამ 2.300.000 მანეთი წლიური ეკონომია მიიღო. ერთი ამდენი ეკონომია კიდევ მოსალოდნელია მომავალი წლისათვის იმ წინადადებათა დანერგვით, რომელთა დაზუსტება ამჟამად მიმდინარეობს. დანადგარის უფროსი ვლადიმერ ჩიქოვანი და ზეინკალი გიორგი ლომთათიძე, ოპერატორი მიხეილ კრასნოლობოვი და ხარატი ლეონიდ კუზმინი, ოპერატორი სტეფანე ვერგუნი და მეორე კლასის ოსტატი სერგო ჩანტლაძე, — აი ქარხნის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა არასრული სია. თვითეულ მათგანს ქარხნისათვის, სამშობლოსათვის მიცემული აქვს ათეულ ათასობით მანეთი ეკონომია.

თავიანთი წარმოების პატრიოტი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები თავდადებული, ნაყოფიერი შრომით ცდილობენ მუდამ მაღლა ეჭიროთ ღირსება და სახელი ქარხნისა, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს.

ეს მისწრაფება ერთხელ კიდევ გამომჟღავნდა ქარხნის მუშაკთა კოლექტივის კრებაზე, რომელიც დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადების აღსანიშნავად მოეწყო. ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა ამ დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 27 ეშელონი ნავთპროდუქტები.

... როდესაც ვალდებულების პროექტი წაიკითხეს, ჩემს გვერდით მდგომ პატარა ტანის კაცს, რომელიც ორიოდე საათის წინათ მეორე საამქროში გამაცნეს, როგორც მთელი ქარხნის მოწინავე მუშა, — ერთმა ახალგაზრდამ წერილი გადასცა. თვალები გაუბრწყინდა ჩემს ჭაღარა მეზობელს, უმალ გახსნა კონვერტი და კითხვას შეუდგა. ძნელი ყოფილა უცაბედი სიხარულის გულში დამალვა. უთუოდ ამიტომ მომმართა მან, მასთან ყველაზე ახლოს მდგომს ამ სიტყვებით:

— შვილის წერილია მოსკოვიდან, სტალინური კონსტიტუციის დღეს მილოცავს.

ეს თურმე ჩვენი ნაცნობი მოსკოველი სტუდენტი ოთარ გრიგოლავა სწერდა ბათუმში თავის მამას — ვასილს.

—... ხუთასი მანეთი სტიპენდია დამინიშნავთ. ბათუმში მედალოსანმა დაამთავრა სკოლა, მოსკოვშიც კარგად სწავლობს... — დაუმატა ვასილმა და შეჩერდა, ჩაფიქრდა.

აქ სიხარულით სულ სხვა სამყაროში გადასული მამა ტაშის ხმაურმა გამოაფხიზლა, შვილის წერილი სპეცხალათის გულჯიბეში სწრაფად შეინახა და თავისი ძლიერი ტაშიც შეუერთა საერთო ტაშის ქარიშხალს.

ეს — ვალდებულება ერთხმად მიიღო კრებამ და ახლა ამ მქუხარე ტაშით დიდი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას გამოხატავდა.

ხოლო იმან, რომ მოსკოველი სტუდენტი ოთარ გრიგოლავა სტალინური კონსტიტუციის დღეს ულოცავდა მამას, — მე კვლავ ერთი რამ მომაგონა:

სტალინური ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად უამრავი მნახველი მოდის ბათუმში აჭარის ახლომახლო კურორტებიდან და დასასვენებელი სახლებიდანაც. აქ არიან ყველა პროფესიის საბჭოთა ადამიანები. აღფრთოვანება და ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარული გამოხატა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სტახანოველმა მუშამ კ. დეგალევმა, რომელიც წელს, შემოდგომაზე, პროფკავშირთა დასასვენებელ სახლში ისვენებდა ქობულეთში. ამ ჩანაწერით იგი მადლობას უძღვნის დიდ სტალინს—სტალინური კონსტიტუციის შემოქმედს, რომელმაც მას, უბრალო ადამიანს მისცა შრომისა და დასვენების უფლება. ამავე კონსტიტუციამ სწავლის უფლება მიანიჭა ბათუმელი მუშის შვილს—ოთარ გრიგოლავას.

და მართლაც სტალინური კონსტიტუცია ხომ უბედნიერესი დაგვირგვინებაა იმ რევოლუციური ბრძოლებისა, რასაც ბათუმის პროლეტარიატი აწარმოებდა ახალგაზრდა კობა ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით.

ვლადიმერ თორდუა

ქ. ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბულგარელი სახელმწიფო დამნაშავის ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი

10 დეკემბრის დილისა და საღამოს სხდომებზე, აგრეთვე 12 დეკემბრის დილის სხდომაზე სასამართლომ მოისმინა მოწმეთა ჩვენებები. ყველა მოწმემ მთლიანად დაადასტურა ბრალდებულთა მძიმე დანაშაულობანი, რაც მიმართული იყო ბულგარელი ხალხის საარსებო ინტერესების წინააღმდეგ.

დაკითხულ იქნა აგრეთვე დაცვის მოწმეები, რის შემდეგ სასამართლომ მოისმინა ექსპერტო კომისიის მოხსენებანი.

12 დეკემბრის საღამოს სხდომაზე, პროკურორისა და დამცველების მხრივ დამატებითი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მთავარ პროკურორს ვლადიმერ დიმჩევს.

## მთავარი პროკურორის ვლადიმერ დიმჩევის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო, — განაცხადა პროკურორმა, — სასამართლო ძიებამ ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა მიმართ მთელი სიცხადით დაგვანახვა, რომ საქმე გვაქვს შეთქმულებასთან, რომელიც მიზნად ისახავდა ძალით დაემხო ჩვენს ქვეყანაში კანონიერად დამყარებული სახელმწიფო რეჟიმი, მოესპო ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი.

ჩვენ საქმე გვაქვს შეთქმულებასთან, რომლის მიზანიც იყო ბულგარეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა მისი ტერიტორიის ნაწილის მოწყვეტისა და სხვა სახელმწიფოთათვის ტერიტორიის ამ ნაწილის გადაცემის გზით. ამ შეთქმულების მიზანი იყო აგრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, ჩვენი ხალხის ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ გიორგი დიმიტროვის ფიზიკურად მოსპობა.

დამტკიცებულია, რომ შეთქმულების ხელმძღვანელები და მისი სულისჩამდგმელები იყვნენ ინგლისელ-ამერიკელი მზვერავები და რომ შეთქმულთ ტიტოს იუგოსლავიის სამხედრო ინტერვენციის იმედი ჰქონდათ.

ეს შეთქმულება იყო ჩვენი ქვეყნის სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ და მისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის წინააღმდეგ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური წრეების შეთქმულების და მტრული პოლიტიკის ერთ-ერთი რგოლი.

უფრო მეტიც, საერთაშორისო თვალსაზრისით ეს შეთქმულება ბულგარეთის წინააღმდეგ ნაწილია ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა იმ დანაშაულებრივი გეგმისა, რომელიც მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოთა არსებობის წინააღმდეგ. ამ შეთქმულებითი გეგმის განხორციელების მთავარ იარაღად ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები იყენებენ მოღალატე ტიტოს და მის ჯაშუშურ ბანდას.

დასავლეთელ იმპერიალისტებს და განსაკუთრებით ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს არ შეეძლოთ დამშვიდებით ეყურებინათ იმისათვის, რომ ჩვენში 1944 წლის 9 სექტემბერს მოპოვებული გამარჯვების შემდეგ შენდება ახალი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების დახმარებით, უფრო და უფრო მტკიცდება და ვითარდება პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად. იმპერიალისტები ვერ შერიგებიან იმას, რომ მსოფლიო ომის შემდეგ მათ მტაცებლურ კლანჭებს გაუსხლტა ბევრი ქვეყანა, რომლებიც ჰიტლერელ ოკუპანტთა და ფაშიზმის მონობისაგან თავის განთავისუფლებას უნდა უმადლოდნენ დიდ საბჭოთა არმიას — განმათავისუფლებელ არმიას. მათ არ შეუძლიათ დამშვიდებით უყურონ იმას, რომ ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარების მეოხებით სწრაფად მიდიან სოციალიზმის განხორციელების გზით. იმპერიალისტები ყოველივე შესაძლებელს აკეთებენ იმისათვის, რომ ბულგარელ ხალხს და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ხალხებს ხელი შეუშალონ მათს მშვიდობიან და წარმატებით განვითარებაში დემოკრატიისა და სოციალიზმის გზაზე.

სწორედ აქედან იწყება ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა ძირგამომთხრელი და შეთქმულებითი პოლიტიკა ჩვენი ქვეყნისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების მიმართ, იწყება ეგრეთწოდებული „ფარული აგრესიისა" და „საშინაო აგრესიის" პოლიტიკა.

ამ თავიანთი „საშინაო აგრესიისათვის" ძალების შეგროვებას ინგლისელ-ამერიკელი მზვერავები ცდილობდნენ ამ ქვეყნების შინაური, ფაშისტური და რეაქციული დაჯგუფებების, სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის მტრებისაგან. ყველასათვის ცნობილია შეთქმულთა დანაშაულებრივი ცდები — მოეხდინათ საზიზღარი გადატრიალება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ძველი რეაქციული, მონარქისტულ-ფაშისტური რეჟიმების აღდგენის მიზნით. ასეთი იყო ცდები მანიუსა და მიხალაკეს დანაშაულებრივი ბანდების შეთქმულთა — რუმინეთში, ფერენც ნადისა და კომპანიისა — უნგრეთში, მიკოლაიჩიკისა — პოლონეთში, სამხედრო ფაშისტური შეთქმულება 1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიაში. ასეთი იყო შეთქმულებები ჩვენს ქვეყანაში მთელი რიგი სამხედრო-ფაშისტური ორგანიზაციების მხრივ, როგორც, მაგალითად „მეფე კრუმი", „ნეიტრალური ოფიცერი" და სხვები.

ყველა ეს შეთქმულება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში, მოწყობილი იყო ინგლის-ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელობითა და დახმარებით. ჩვენ აუარებელი ფაქტები მოგვეპოვება, რომლებიც მჭევრმეტყველურად მოწმობენ, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში არსებული შეთქმულებითი და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის მრავალი ძაფი პირდაპირ მიდის ამერიკის, ინგლისისა და იუგოსლავიის მისიებში. ამ პროცესზეც ცოტა როდი იყო მოყვანილი ასეთი ფაქტები.

როცა ჩაიფუშა ამერიკისა და ინგლისის დაზვერვათა ცდები—დაერაზმათ და წაესისიანებინათ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ რეაქციისა და ფაშიზმის ძალები, მაშინ მათ თავიანთი იმედი დაამყარეს შეთქმულთა ჯგუფზე, რომელსაც ტრაიჩო კოსტოვი მეთაურობდა და რომელიც უკვე დიდი ხანია ასრულებდა მათს ჯაშუშურ დავალებებს. ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ თავიანთ შეთქმულებითს გეგმებში ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები მთავარ იარაღად იყენებენ ტიტოს გამცემლურ და ჯაშუშურ ხროვას.

ჯერ კიდევ ომის დროს ტიტოს ბანდა ორიენტაციას იღებდა ინგლისელ-ამერიკელებზე.

ტიტოელთა შორის პირველმა მუშაობა დაიწყო ინგლისის დაზვერვამ, რომელსაც ამ მხრივ ყველაზე დიდი გამოცდილება ჰქონდა. მალე მას მიბაძა და დაეწია ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვა. ინგლისის დაზვერვა ტიტოს სახით სამართლიანად ხედავდა ძველ ტროცკისტს, რომელშიც დარწმუნებული იყო.

მაგრამ ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი გეგმა მარტო იუგოსლავიას როდი სჯერდებოდა. ტიტოელების წინაშე დასახული იყო ამოცანა ძირგამომთხრელი მუშაობა ეწარმოებინათ სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებშიც, ცდილიყვნენ შეექმნათ იქ თავიანთი აგენტურა.

ამ მიზნით ტიტოელებმა აქტიური საქმიანობა გააჩაღეს ბულგარეთში.

1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ ტრაიჩო კოსტოვი მალე შეხვდა ინგლისის დაზვერვის პოლკოვნიკ ბეილის. პირველივე შეხვედრის შემდეგ ტრაიჩო კოსტოვი უყოყმანოდ გახდა ინგლისის დაზვერვის აგენტი.

მათ წინაშე დასახული გარკვეული ამოცანის შესასრულებლად ტრაიჩო კოსტოვმა და მისმა თანამონაწილეებმა მოაწყეს არალეგალური შეთქმულებითი ორგანიზაცია მისი ქვეგანაყოფებით. ყველა ბრალდებული მუშაობას იწყებს როგორც ტიტოს აგენტი, ე. ი., სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა აგენტი, ჩვენი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის საზიანოდ, იწყებს მოქმედებას იმ მიზნით, რომ ბულგარეთი ჩამოაცილოს საბჭოთა კავშირს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათ კარგად ესმით და მშვენივრად იციან, რომ ბულგარელი ხალხის გამარჯვება 1944 წლის 9 სექტემბერს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი დახმარების მეოხებით; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა და განმტკიცება მოხდა იმ უდიდესი უხვი და უანგარო დახმარების მეოხებით, რასაც გვიწევდა და გვიწევს სსრ კავშირი; მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთში ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლება განხორციელდა სსრ კავშირთან ჩვენი მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის მეოხებით; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შენარჩუნება შესაძლებელი აღმოჩნდა და გახდა მხოლოდ იმ მფარველობის მეოხებით, რასაც ჩვენ საბჭოთა კავშირი გვიწევს.

დღეს ყველა პატრიოტმა, ყველა პატიოსანმა ბულგარელმა მოქალაქემ იცის, რომ ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის, ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ჩვენი მშვიდობიანი, კულტურული და ეკონომიური განვითარების გარანტიაა საბჭოთა კავშირთან ჩვენი ქვეყნის მეგობრობა და თანამშრომლობა. სსრ კავშირი პროგრესისა და სოციალიზმის გზით განვითარების საწინდარია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ ყველა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. სსრ კავშირი მსოფლიოს ყველა დამონებული და ჩაგრული ქვეყნის განთავისუფლების იმედია. ბრალდებულებმა ეს მშვენივრად იციან და მიუხედავად ამისა სურთ ჩამოაცილონ ჩვენი ქვეყანა სსრ კავშირს, შექმნან საბჭოთა ხალხების წინააღმდეგ მიმართული მტრული ბლოკი.

ტიტოს ბანდა, განაგრძობს პროკურორი, უკავშირდება ტრაიჩო კოსტოვის ჯაშუშურ ჯგუფს და ყველა საშუალებით ცდილობს იგი უფრო აქტიური გახადოს. ინგლის-ამერიკის დაზვერვის დავალებით ტიტოელები მუშაობას იწყებენ. ტრაიჩო კოსტოვის ჯგუფი თანხმდება იმუშაოს სამხრეთის სლავთა ფედერაციის სასარგებლოდ, აგრეთვე ბულგარეთისაგან პირინის მხარის მოწყვეტისა და იუგოსლავიასთან მისი შეერთებისათვის.

ტიტოელებისა და ტრაიჩო კოსტოვის ჯგუფის მიერ განზრახულ ფედერაციას მიზნად ჰქონდა მთლიანად მოესპო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობა და იგი იუგოსლავიის უბრალო დანამატად გადაექცია. ამავე დროს ეს ფედერაცია გამოცხადებული უნდა ყოფილიყო უეცრად ტიტოს სამხედრო ძალის დახმარებით გადატრიალების გზით, ბულგარელი ხალხის დაუკითხავად და მისი ნების წინააღმდეგ. იგივე უნდა მომხდარიყო ბულგარეთისაგან პირინის მხარის მოწყვეტისა და იუგოსლავიასთან მისი შეერთების მხრივაც. რადგან ფედერაციული სახელმწიფო მიმართული უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და პირი ებრუნებინა ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა ბანაკისაკენ, ამიტომ ფედერაციის შექმნა სსრ კავშირისაგან სავსებით საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო.

ტიტოსაგან, აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათაგან მიღებული ჰქონდათ კატეგორიული მითითება აუცილებლად დაეწყოთ ენერგიული მოქმედება, ჩამოეშორებინათ ყველა, ვინც ხელს უშლიდა გიორგი დიმიტროვის დაპატიმრებასა და მოკვლას. გიორგი დიმიტროვი, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით და პარტიული და ხალხის მასების დიდი სიყვარულით სარგებლობდა, დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა შეთქმულთა დანაშაულებრივი გეგმების რეალიზაციის გზაზე.

როცა ბრალდებულები დარწმუნდნენ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, სახალხო ხელისუფლება მტკიცდებოდა, მათ ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა რჩევით გადაწყვიტეს გაეძლიერებინათ მავნებლობა ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში.

— ამხანაგო მოსამართლენო! — განაგრძობს პროკურორი — განაჩენის გამოტანისას მხედველობაში უნდა მიიღოთ ამ საქმეზე არსებული მთელი მასალა, აგრეთვე მხედველობაში უნდა მიიღოთ ჩვენი კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კოდექსი. გთხოვთ არ გამოიჩინოთ დამნაშავეთადმი არავითარი ლმობიერება შემდეგი მოსაზრებების გამო:

ა) ეს ადამიანები ინტელიგენტები არიან, რომლებსაც კარგად ესმით ზიანი, რასაც ისინი ჩვენს ქვეყანას თავიანთი მოქმედებით აყენებდნენ;

ბ) იმიტომ, რომ ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც მაღალი პოსტები დაიკავეს სახელმწიფო აპარატში, რაც მათ ავალებდა უდიდესი ყურადღება, სიფრთხილე და პატიოსნება გამოეჩინათ ხალხისადმი თავიანთ სამსახურში;

გ) რადგან მათი მოქმედება მიმართული იყო იქითკენ, რომ წაერთმიათ ხალხისათვის ყველაფერი, რაც მან მოიპოვა მონარქიზმ-ფაშიზმის წინააღმდეგ ხანგრძლივი, მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლის გზით, მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩვენი ხალხისათვის კვლავ დაედგათ ფაშისტებისა და კაპიტალისტების უღელი;

დ) რადგან მათი ღონისძიებანი და დანაშაულობანი მიმართული იყო იქითკენ, რომ ბულგარელი ხალხი გადაეგდოთ იმ გზიდან, რომელსაც იგი 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ დაადგა, სსრ კავშირის ხალხებთან გულითადი ურთიერთობის განმტკიცების გზიდან, რომელიც ერთადერთი უზრუნველყოფს ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სახელმწიფო სუვერენიტეტს;

ე) რადგან საქმე ეხება არა ერთეულ მოქმედებას, არამედ ჩვენი ხალხის წინააღმდეგ მრავალი წლის სისტემატურ მტრულ საქმიანობას, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩაეშალათ ხალხის ღონისძიებანი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების დარგში;

ვ) რადგან მაშინ, როცა ჩვენი ხალხი თავისი ბედნიერი მომავლის აშენებას შეუდგა, დამნაშავენი არა შემთხვევითი მოქმედების, არამედ მთელ რიგ წინასწარგანზრახულ გეგმაზომიერ ქმედობათა გზით ახორციელებდნენ მავნებლურ ძირგამომთხრელ მუშაობას, რათა დაენგრიათ ის, რაც ხალხმა ააშენა;

ზ) რადგან, შეითვისეს რა ტერორისტული მოქმედების მეთოდები, მათ უყოყმანოდ განიზრახეს ისიც კი, რომ ფიზიკურად მოესპოთ ამხანაგი გიორგი დიმიტროვი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენი სამშობლოსადმი პატიოსან და ერთგულ სამსახურს მოახმარა;

თ) და, ბოლოს, რადგან მათ გადაწყვიტეს თავიანთი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოეყენებინათ ძალდატანების მეთოდი და უცხო სახელმწიფოს დახმარებისთვის, ტიტოს არმიის დახმარებისთვისაც კი მიემართათ. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძიმებს მათს დანაშაულს.

ამხანაგო მოსამართლენო! გადავდივარ ექვსი კაცისაგან შემდგარი ჩემი ჯგუფის თვითეული ბრალდებულის კონკრეტული საქმიანობის განხილვაზე. საბრალდებო აქტში თვითეულის შესახებ საკმაოდ ბევრია ნათქვამი. საქმის ასეთი მდგომარეობის დროს ცოტა-ღა დამრჩენია დავუმატო.

### 1. ტრაიჩო კოსტოვ ჯუნევის შესახებ

ეს არის პროცესის ცენტრალური ფიგურა, და ამიტომ ლოგიკური იქნება მას უფრო მეტი ყურადღება დაეუთმო, ვიდრე მის თანამონაწილეებს.

თავისი გამცემლობისა და პოლიციის საიდუმლო თანამშრომლად გახდომის ვალდებულების ხელმოწერის შემდეგ ტრაიჩო კოსტოვი ემსახურებოდა ინგლისის, ამერიკისა და ტიტოს დაზვერვებს მანამდე, სანამ მას სახელმწიფო უშიშროების ორგანოები დააპატიმრებდნენ.

ტრაიჩო კოსტოვის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ საბოლოო ანგარიშით მიეღწია იუგოსლავიასთან ბულგარეთის შეერთებისათვის, შეექმნა იმპერიალისტური ძალების განკარგულებაში მყოფი ბლოკი, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ეს მიზანი აგრეთვე იმაში მდგომარეობდა, რომ იუგოსლავიისა და ბულგარეთის ტერიტორია გადაექცია ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა პლაცდარმად იმ ომში, რომელსაც ისინი სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ამზადებენ.

პროკურორი იმოწმებს კოსტოვის ჩვენებას და დამტკიცებულად სთვლის, რომ კოსტოვმა იკისრა შესრულება ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა დავალებებისა, აგრეთვე ტიტოს დაზვერვის დაჟინებითი მითითებისა მოეკლათ გიორგი დიმიტროვი, რომელიც მთავარი დაბრკოლება იყო შეთქმულთა გზაზე. კოსტოვმა დაადასტურა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მან გამოიყენა ისეთი გზა, როგორიცაა სერიოზული მღელვარების შექმნა, რასაც აუცილებლად უნდა გაემწვავებინა გ. მ. დიმიტროვის ავადმყოფობა და გამოეწვია ამხანაგ გიორგი დიმიტროვის სიკვდილი.

გამორკვეულია აგრეთვე კოსტოვის საკუთარი ხელით დაწერილ ჩვენებაში აღიარებული ის გარემოება, განაცხადა პროკურორმა, რომ იგი ინგლისის, ამერიკისა და იუგოსლავიის დაზვერვებს აწვდიდა ცნობებს, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდნენ.

პროცესის მსვლელობაში, რომელიც უკვე მეექვსე დღეა გრძელდება, შეგროვებული დამამტკიცებელი საბუთების გულდასმითი და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად სავსებით გამორკვეულად და დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბრალდებული ტრაიჩო კოსტოვი 1942 წლიდან იყო პოლიციის აგენტი-პროვოკატორი ბულგარეთის კომუნისტურ პარტიაში, ხოლო შემდეგ იმყოფებოდა ინგლისის დაზვერვის სამსახურში, რომელმაც მასთან კავშირი დაამყარა ბალკანეთში ინგლისის დაზვერვის მეთაურის პოლკოვნიკ ბეილის საშუალებით.

გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბრალდებულმა კოსტოვმა ინგლის-ამერიკის რეაქციული წრეების თანხმობითა და მოწონებით დანაშაულებრივი კავშირი დაამყარა ტიტოსთან და მის უახლოეს თანამონაწილეებთან, რათა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის წაერთმიათ ეროვნული დამოუკიდებლობა, სახელმწიფო სუვერენიტეტი და რათა ტიტოს მთავრობის მიერ დაპირებულ სამხედრო დახმარებაზე დაყრდნობით ბულგარეთი შეეერთებინა იუგოსლავიისათვის.

გამორკვეული და დამტკიცებულია აგრეთვე კოსტოვის დანაშაულებრივი კავშირი ტიტოს მმართველ ფაშისტურ ხროვასთან გიორგი დიმიტროვის დაპატიმრებისა და მოკვლის მიზნით.

ასეთია ძირითადი უდავო დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც თქვენ, მოქალაქე მოსამართლენო, ბრალდებამ წარმოგიდგინათ ტრაიჩო კოსტოვის შესახებ.

ტრაიჩო კოსტოვის დანაშაულებრივი საქმიანობა დამტკიცებულია იმ აზრით, როგორითაც იგი ჩამოყალიბებულია საბრალდებო აქტში, და კოსტოვმა პასუხი უნდა აგოს ისე, როგორც ამას საბრალდებო დასკვნა ითვალისწინებს.

### 2. ივანე სტეფანოვ ხაჯი მატეევის შესახებ

1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ, აღნიშნა პროკურორმა, ივანე სტეფანოვი უახლოვდება ტრაიჩო კოსტოვს. კოსტოვი, ნიკოლა პავლოვი და სტეფანოვი აწყობენ „ხელმძღვანელ საშეულს" — ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების არალეგალურ ცენტრს.

ბრალდებულ სტეფანოვის საკუთარი აღიარების შემდეგ, ამბობს პროკურორი, წარმოდგენილი დოკუმენტების შემდეგ სტეფანოვის დანაშაული სავსებით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, და იგი უნდა დაისაჯოს.

### 3. ნიკოლა პავლოვ კოლევის შესახებ

1942 წელს პოლიციის დირექციაში,—განაგრძო პროკურორმა, — ნიკოლა პავლოვმა, მისთვის რაიმე ფიზიკური ან მორალური ძალდატანების მიუყენებლად, ხელი მოაწერა ვალდებულებას გეშევის წინაშე იმის შესახებ, რომ პოლიციის თანამშრომლად იმსახურებდა.

ნიკოლა პავლოვს, რომელიც შეთქმულთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრის წევრი იყო, პასუხისმგებლობა ეკისრება, ივანე სტეფანოვთან და ტრაიჩო კოსტოვთან ერთად, მთელ იმ დანაშაულობათათვის, რაც ჩაიდინა პირადად მან, აგრეთვე იმ დანაშაულობათათვის, რაც ჩაიდინეს შეთქმულთა ორგანიზაციის სხვა წევრებმა.

### 4. ნიკოლა ნაჩევ პეტკოვის შესახებ

ახასიათებს რა ნიკოლა ნაჩევის დანაშაულებრივ საქმიანობას, პროკურორი აღნიშნავს, რომ ნაჩევი 1941 წლიდან იმყოფებოდა ინგლისის დაზვერვის სამსახურში და ბულგარეთის ფაშისტური პოლიციის საიდუმლო თანამშრომელი იყო.

ნიკოლა ნაჩევი აწყობდა ტრაიჩო კოსტოვის კავშირს კირილე სლავოვთან და ამავე დროს განაგრძობდა ინგლისის დაზვერვისათვის ცნობების მიწოდებას კირილე სლავოვის მეშვეობით.

პროკურორს დამტკიცებულად მიაჩნია, რომ ბრალდებულმა ნიკოლა ნაჩევმა ჩაიდინა დანაშაულობანი, რომლებშიც ბრალი ედება, და, მაშასადამე, ცნობილ უნდა იქნას დამნაშავედ, როგორც ეს აღნიშნულია საბრალდებო აქტში.

### 5. ბორის ანდონოვ ხრისტოვის შესახებ

ხრისტოვის დანაშაულებრივი საქმიანობა დამტკიცებულია არა მარტო მისი ჩვენებით, არამედ სხვა ბრალდებულთა — ივანე სტეფანოვისა და ტრაიჩო კოსტოვის ჩვენებითაც. ამიტომ მან პასუხი უნდა აგოს მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტის მიხედვით.

### 6. ივანე სლავოვ გევრენოვის შესახებ

მოაგონა რა სასამართლოს ის გარემოებანი, რომლებშიც გევრენოვი შეთქმულთა ორგანიზაციის წევრი გახდა, პროკურორმა აღნიშნა, რომ ბრალდებული შემდეგ თვითონ აბამდა ამ ორგანიზაციაში სხვებს.

ასრულებდა რა მისთვის მიცემულ დავალებებს მავნებლური მუშაობის წარმოების შესახებ, გევრენოვმა მიაღწია წარმოების შემცირებას მთელ რიგ საწარმოებში.

• • •

დინჯად და ობიექტურად შეაფასეთ, ამხანაგო მოსამართლენო, განაცხადა თავისი სიტყვის დასასრულს პროკურორმა, რა უდიდესი ზიანი მიაყენეს ბრალდებულებმა ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ხალხს თავიანთი მავნებლური საქმიანობით; რა ზიანი მიაყენეს მათ ჩვენს სახელმწიფო უშიშროებას თავიანთი ჯაშუშური მოქმედებით; შეაფასეთ, რა საფრთხეში ჩააყენებდნენ ჩვენს ქვეყანას, რომ გაებედათ შესდგომოდნენ სახელმწიფო გადატრიალების შესრულებას, რომელსაც ისინი ამზადებდნენ.

მე მწამს, რომ თქვენი გადაწყვეტილება სწორი იქნება, ამხანაგო მოსამართლენო. მან ჩვენს შინაგან რეაქციასა და უცხოელ მტრებს უნდა დაანახვოს, რომ ჩვენ შეგვიძლია ყველა საშუალებით დავიცვათ ჩვენი სახალხო ხელისუფლება, ჩვენი განვითარება სოციალიზმის გზით, ჩვენი მშრომელი მასების მყუდროება და კეთილდღეობა.

განაჩენით, რომელსაც თქვენ წარმოთქვამთ, ჩვენ დავანახვებთ ყველა ჩვენს მტერს, რომ სამამულო ფრონტი და მთელი ჩვენი ხალხი მტკიცედ დგას იმ პოზიციებზე, რომლებიც მან 1944 წლის 9 სექტემბერს მოიპოვა, რომ იგი მზად არის შემუსროს ყოველი, ვინც გაბედავს მის წინააღმდეგ იერიშის მიტანას მის ამ პოზიციებზე.

• • •

მთავარი პროკურორის ვლადიმერ დიმჩევის სიტყვის შემდეგ სასამართლოში სიტყვა წარმოთქვა პროკურორმა ცაკოვმა. იგი შეჩერდა იმ დანაშაულობებზე, რომლების ჩადენაშიც საბრალდებო აქტი ბრალს სდებს ივანე ტუტევს, ცონჩევს, ხაჯი-პანზოვს, ივანოვსკისა და ბოიალცალიევს. პროკურორმა წინასწარი გამოძიებისა და პროცესის მასალებზე დაყრდნობით სავსებით დამტკიცებულად ცნო ბრალდებულებისადმი წაყენებული ბრალდება და მოითხოვა მათთვის კანონით გათვალისწინებული ყველაზე მძიმე სასჯელი.

**სოფია**, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, რომელიც სახელმწიფო დამნაშავის ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმეს არჩევს, დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა დამცველთა სიტყვები.

ტრაიჩო კოსტოვის დამცველმა ადვოკატმა დიუგმეჯიევმა, ივანე სტეფანოვის დამცველმა ადვოკატმა რუსევმა, ნიკოლა პავლოვის დამცველმა ადვოკატმა სტოიანოვმა, აგრეთვე დანარჩენ ბრალდებულთა დამცველებმა თავიანთ სიტყვებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რთულია მათი ამოცანა დაიცვან ბრალდებულნი, რომლებმაც ესოდენ მძიმე დანაშაული ჩაიდინეს სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ყველა დამცველმა სასამართლოს სთხოვა ლმობიერება თავიანთი კლიენტებისადმი.

• • •

ამავე სხდომაზე სასამართლომ მოისმინა უკანასკნელი სიტყვები ბრალდებულებისა, რომელთაც მთლიანად აღიარეს თავიანთი დანაშაულობანი.

## განაჩენი ბულგარეთის სახელმწიფო დამნაშავის ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე

**სოფია**, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ბულგარეთის სახელმწიფო დამნაშავის ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე.

ხალხის სახელით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ, ნათქვამია განაჩენში, თავის სასამართლო სხდომებზე 1949 წლის 7-დან 13 დეკემბრამდე განიხილა ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმე და გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

სასამართლომ ბრალდებულნი ტრაიჩო კოსტოვ ჯუნევი, ივანე სტეფანოვ ჰაჯი-მატეევი, ნიკოლა პავლოვ კოლევი დამნაშავედ ცნო იმაში, რომ მათ შექმნეს არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრი რესპუბლიკაში კანონიერად დამყარებული სახალხო ხელისუფლების დამხობის მიზნით, იყენებდნენ რა ამ დამხობისათვის ძალადობასა და ტერორს;

აღნიშნულმა ბრალდებულებმა ჩაიდინეს ქმედობანი, მიმართული საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის გაუარესებისაკენ;

ეს ბრალდებულნი სხვა პირთა დახმარებით ავრცელებდნენ ცილისმწამებლურ და არასწორ მტკიცებებს, რათა გამოეწვიათ უნდობლობა სახალხო ხელისუფლებისა და მისი ორგანოებისადმი და არევ-დარევა შეეტანათ ხალხის მასებში.

სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავედ ცნო იმაშიც, რომ ტრაიჩო კოსტოვმა თავისი თავი გადასცა ინგლისის, ამერიკისა და იუგოსლავიის დაზვერვათა განკარგულებაში, ხოლო ივანე სტეფანოვი აგროვებდა და ინგლისის დაზვერვას გადასცემდა ცნობებს, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენდა;

ასრულებდნენ რა სახელმწიფოებრივ სამსახურსა და სახელმწიფოებრივ დავალებებს უცხოეთის სახელმწიფოთა მიმართ, კოსტოვი და სტეფანოვი განზრახ იყენებდნენ ამას თავიანთი სახელმწიფოს საზიანოდ.

ტრაიჩო კოსტოვმა, ივანე სტეფანოვმა და ნიკოლა პავლოვმა ჩაიდინეს ბულგარეთის ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრისაკენ მიმართული ქმედობანი.

ჩადენილ დანაშაულობათა ერთობლიობის მიხედვით სასამართლომ მიუსაჯა:

ტრაიჩო კოსტოვს — სიკვდილით დასჯა, ყველა უფლებათა აყრა, 1 მილიონი ლევი ჯარიმა და ქონების კონფისკაცია;

ივანე სტეფანოვს — მუდმივი სასტიკი პატიმრობა, ყველა უფლებათა აყრა, 1 მილიონი ლევი ჯარიმა და მთელი ქონების კონფისკაცია;

ნიკოლა პავლოვს — მუდმივი სასტიკი პატიმრობა, ყველა უფლებათა აყრა, 1 მილიონი ლევი ჯარიმა და მთელი ქონების კონფისკაცია.

ბრალდებულნი ნიკოლა ნაჩევ პეტკოვი, ბორის ანდონოვ ხრისტოვი, ცონიუ სტეფანოვ ცონჩევი, ივანე სლავოვ გევრენოვი და ივანე გეორგიევ ტუტევი სასამართლომ დამნაშავედ ცნო იმაში, რომ ისინი შევიდნენ არალეგალურ ორგანიზაციაში, რომელიც რესპუბლიკის კანონიერად დამყარებული სახალხო ხელისუფლების დამხობის მიზნით შექმნეს და რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ტრაიჩო კოსტოვი, ივანე სტეფანოვი და ნიკოლა პავლოვი; იმაში, რომ მათ ჩაიდინეს ქმედობანი, მიმართული საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ჩვენი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის გაუარესებისაკენ; იმაში, რომ ისინი ავრცელებდნენ არასწორ მტკიცებებს, ცდილობდნენ რა გამოეწვიათ უნდობლობა სახალხო ხელისუფლებისა და მისი ორგანოებისადმი და არევ-დარევა შეეტანათ ხალხის მასებში.

სასამართლომ ბრალდებულთა ეს ჯგუფი დამნაშავედ ცნო აგრეთვე იმაში, რომ ისინი აგროვებდნენ და უცხოეთის დაზვერვებს გადასცემდნენ ცნობებს, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენდა.

ასრულებდნენ რა სახელმწიფოებრივ სამსახურსა და სახელმწიფოებრივ დავალებებს უცხოეთის სახელმწიფოთა მიმართ, ბორის ხრისტოვი და ივანე ტუტევი განზრახ აკეთებდნენ ამას თავიანთი სახელმწიფოს საზიანოდ.

ბრალდებულნი ნიკოლა ნაჩევი, ცონიუ ცონჩევი, ივანე გევრენოვი და ივანე ტუტევი სასამართლომ დამნაშავედ ცნო აგრეთვე იმაში, რომ მათ ჩაიდინეს ქმედობანი, მიმართული სახალხო მეურნეობისათვის ძირის გამოთხრისაკენ, რითაც ვარაუდობდნენ გამოეწვიათ ხალხის მასების უკმაყოფილება და ხელი შეეშალათ მთავრობის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულობათა ერთობლიობის მიხედვით სასამართლომ მიუსაჯა:

ნიკოლა ნაჩევს — მუდმივი სასტიკი პატიმრობა, ყველა უფლებათა აყრა, 1 მილიონი ლევი ჯარიმა და მთელი ქონების კონფისკაცია;

ბორის ხრისტოვს — 15 წლის სასტიკი პატიმრობა, 20 წლით უფლებათა აყრა, 500 ათასი ლევი ჯარიმა და მთელი ქონების კონფისკაცია;

ცონიუ ცონჩევს — 15 წლის სასტიკი პატიმრობა, 20 წლით უფლებათა აყრა, 500 ათასი ლევი ჯარიმა და მთელი ქონების კონფისკაცია;

ივანე გევრენოვს — მუდმივი სასტიკი პატიმრობა, ყველა უფლებათა აყრა, 1 მილიონი ლევი ჯარიმა და მთელი ქონების კონფისკაცია;

ივანე ტუტევს — მუდმივი პატიმრობა, ყველა უფლებათა აყრა, 1 მილიონი ლევი ჯარიმა და მთელი ქონების კონფისკაცია.

ბრალდებულნი ბლაგოი ივანოვ ხაჯი-პანზოვი, ვასილ ატანასოვ ივანოვსკი სასამართლომ დამნაშავედ ცნო იმაში, რომ მათ მოაწყეს და სათავეში ჩაუდგნენ არალეგალურ ჯგუფებს იმ მიზნით, რომ ძალადობის გზით ჩამოეშორებინათ პირინის მხარე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, ცდილობდნენ რა ამრიგად შეესუსტებინათ ბულგარეთის სახელმწიფო ხელისუფლება, აგრეთვე იმაში, რომ ისინი ავრცელებდნენ ცილისმწამებლურ და არასწორ მტკიცებებს, რათა გამოეწვიათ უნდობლობა სახალხო ხელისუფლებისა და მისი ორგანოებისადმი და არევ-დარევა შეეტანათ ხალხის მასებში.

სასამართლომ ეს ორი ბრალდებული დამნაშავედ ცნო აგრეთვე იმაში, რომ ისინი აგროვებდნენ და იუგოსლავიის დაზვერვას გადასცემდნენ ცნობებს, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენდა, აგრეთვე იმაში, რომ ისინი ჯაშუშობდნენ იწეოდნენ სხვა სახელმწიფოთა სასარგებლოდ.

ყველა ამ დანაშაულობათა ერთობლიობის მიხედვით სასამართლომ მიუსაჯა ბლაგოი ხაჯი-პანზოვს, — 15 წლის სასტიკი პატიმრობა, 20 წლით უფლებათა აყრა, 300 ათასი ლევი ჯარიმა და მთელი ქონების კონფისკაცია;

ვასილ ივანოვსკის — 12 წლის სასტიკი პატიმრობა, 15 წლით უფლებათა აყრა, 200 ათასი ლევი ჯარიმა და მთელი ქონების კონფისკაცია.

ბრალდებული ილია ივანოვ ბოიალცალიევი სასამართლომ დამნაშავედ ცნო იმაში, რომ იგი შევიდა არალეგალურ ჯგუფში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიისაგან პირინის მხარის ძალადობის გზით ჩამოშორების მიზნით, აგრეთვე იმაში, რომ იგი ავრცელებდა ცილისმწამებლურ მტკიცებებს, ცდილობდა რა გამოეწვია უნდობლობა სახალხო ხელისუფლებისა და მისი ორგანოებისადმი, არევ-დარევა შეეტანა ხალხის მასებში, აგრეთვე იმაში, რომ ბოიალცალიევი აგროვებდა და იუგოსლავიის დაზვერვას გადასცემდა ცნობებს, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენდა.

ჩამოთვლილ დანაშაულობათა ერთობლიობის მიხედვით სასამართლომ ბრალდებულ ილია ბოიალცალიევს მიუსაჯა 8 წლის სასტიკი პატიმრობა, 10 წლით უფლებათა აყრა, 10 ათასი ლევი ჯარიმა და ნახევარი ქონების კონფისკაცია.

ყველა ბრალდებულთ ჩაეთვალათ წინასწარი პატიმრობა.

განაჩენი საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი


ქ. შიშინაძე, ს. შელიძე, ა. გიგოშვილი, გ. ქარჩავა, გ. ჯავახიშვილი, მ. ბალავაძე, გ. თვალჭრელიძე, ვ. კუპრაძე, ბ. ხოშტარია თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის სერგოს გარდაცვალების გამო.

ვ. ლოლაძე, ნ. სარქისოვი, გ. ჯიბლაძე, ვ. ბალავაძე, ვ. გოგლიძე, ა. მერცხულავა, დ. ჭოლოკავა, ა. ქემოკლიძე, გ. აბესაძე, ქ. კაპანაძე, ა. ნიჟარაძე, ბ. აკიმენკო, ი. ამაღლობელი, დ. მჭედლიშვილი, ა. ბონდარევი, ე. კრასოვსკაია, მ. გოგიჩაიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გ. ნ. ზამბახიძეს მისი ძმის სერგოს გარდაცვალების გამო.

ი. ზოდელავა, დ. რომელაშვილი, ქ. გურგენიძე, ა. კინწურაშვილი, მ. ქორქიკაშვილი, ა. ფარულავა, მ. მეგრელიშვილი, შ. გაგოშიძე, გ. ლებანიძე, თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის სერგოს გარდაცვალების გამო.

ნინო და ვლადიმერ ზარელუები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის სერგოს გარდაცვალების გამო.

ნინა, ანდრო გაბუნიები, მარგო, ზინა, კოლია ნამიჩეიშვილები იუწყებიან **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

სპეციალური სამკურნალო კომბინატის კოლექტივი იუწყება ექიმ-ლაბორანტის **ტასო ჯაფარიძის** გარდაცვალებას.

თამარ და გიორგი ლუარსაბოვები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

ი. გუჯაბიძე, რ. რუსია, ნ. ხოშტარია, გ. ლოლობერიძე, ვ. ცომაია თანაგრძნობას უცხადებენ ვლ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

ვარდო, ზოია, შალვა გიორგაძეები შვილებით თანაგრძნობას უცხადებენ გ. ნ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

თბილისის მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები მ. სანიკიძე, ს. ბრეგვაძე, ც. თავართქილაძე, ა. შავგირაძე, შ. გეგეშიძე, ი. ოონესიანი, დ. ჩიქოვანი, ქ. გოგუა თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მუშაკები ნ. ქვანია, ვ. გურბელაძე, ე. მაისურაძე, ა. მიქაუტაძე, შ. თოფურიძე, შ. მახარაძე, ი. კობერიძე, მ. დანელია თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

ი. დვალი, ბ. ყურაშვილი, ი. ყუჯიაშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. ცირეკიძე, ი. ფეიქრიშვილი, მ. ციხისთავე, გ. სეხნიაშვილი, მ. ალავერდაშვილი, ქ. ლომაძე, ვ. მირიანაშვილი, ვ. სანიკიძე, ვ. გონგაძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

სიდედრი სოფიო, ბენო, თამარ შვილებით, ლიანა, ზევინარ როყვები, იპოლიტე, ნინო, ნათელა კუპრაძეები, მარიამ მოისწრაფეშვილი შვილებით იუწყებიან სიძის, ქვისლის და ბიძის **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18-XII, 3 ს., ბარნოვის, 43.

შ. შავგულიძე, ბ. პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი, ვ. კაჭარავა, ს. ელიავა, ა. პაიჭაძე თანაგრძნობას უცხადებენ პ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ელენე, შვილი გულნარა, ძმები შალვა, ვანო, კოლია გამრეკლიძეები ოჯახებით იუწყებიან **გრიშა ახლანის-ძე გამრეკლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-XII, 7 ს. გამოსვენება 18-XII, 3 ს. კოჩუბეის, 10.

მიშა და დოდო გაბისონიები თანაგრძნობას უცხადებენ ვლადიმერ ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

ქსენია და იონა ჩოჩიები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ნ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

კოლია, თამარ, ქეთო, შოთა, ნინო, თინა დარახველიძეები იუწყებიან **სერგო ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის** გარდაცვალებას.

მიხეილ კვინიხიძე ოჯახით იუწყება **მიხეილ ჯიბოს-ძე იაშვილის** გარდაცვალებას.

ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ლეონტი თომას-ძე ელიავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 18-XII, 2 ს. ჩხიკვაძის, 1.

ემილია სარჯველაძე, ლიზა სარჯველაძე, იესე, გულჩინა და დიტო შაქარიშვილები იუწყებიან ექიმ **ტასო ისიდორეს ასულ სარჯველაძე-ჯაფარიძის** გარდაცვალებას.

გ. რუსია, მ. ტყეშელაძე, ა. მიმინოშვილი, თ. მიქაძე ოჯახებით იუწყებიან **არდევან ვახტანგის-ძე კაკიაშვილის** გარდაცვალებას.

ი. ჩოჩია, გ. კირვალიძე, მ. წერეთელი, დ. კოპალიანი, ა. ბუაძე, თ. ცხვედიანი, ვ. ლოლობერიძე, ა. ყალიჩავა, ლ. იოსელიანი თანაგრძნობას უცხადებენ გ. ზამბახიძეს მისი ძმის **სერგოს** გარდაცვალების გამო.

ბებია კატო, დედა თამარ, დეიდაშვილი ქუქუნა ზანდუკელები იუწყებიან **ნათელა გიორგის ასულ კოტაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-XII, 7 ს. გამოსვენება 18-XII, 1 ს., ფიზკულტურის, 16.

მეუღლე თამარ, დები ლიზა, სიმა, რაისა, სონია ოჯახებით იუწყებიან **ილია არონის-ძე მოძღვრიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-XII, 7 ს., გამოსვენება 18-XII, 3 ს., ნეკრასოვის, 8.

შვილები სულიკო, თამარ, თინა, ქეთო, სიძეები გ. რუსაძე, ვ. რაფავა, ა. ქლენტი, ი. გობრონიძე შვილებით იუწყებიან, რომ 18-XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ფეოდოსია სოფრომის ასულ ლექვინაძე-ფიცხელაურის** პანაშვიდი.

ნ. ფალიაშვილი, თ. ლომიძე, მ. სილაგაძე, ქ. კალიუჟნაია, თ. ხუციშვილი, ა. სიმონიშვილი, ნ. თვალჭრელიძე იუწყებიან ექიმ **ტასო ისიდორეს ასულ ჯაფარიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მაშო, შვილები თამარ, ლიზა, სიძე ვ. შარაბიძე, შვილიშვილები ლილი, ციალა, გურამ იუწყებიან **თეოფილე ბიჭიას-ძე ცაგურიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-XII, 7 ს., გამოსვენება 18-XII, 3 ს., ბრძოლის, 3.

დედა ნინო, შვილები ნანა, ბიძინა მჭედლიძეები, დები მარიამ, თამარ, ქეთო, ძმა იოსებ ოჯახით ფარცხალაძეები, დისწულები ვულჯავარ, ხიტუ, სულთანი იუწყებიან **ბარბალე პავლეს ასულ ფარცხალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XII, 4 ს. წულუკიძეში.


ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 უე 15916